UDC 327.56
SCOPUS CODE 3301
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-3-260-285

„ალ-ჯაზირა“, როგორც კატარის „რბილი ძალის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი

ზვიად ტყაბლაძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

რეცენზენტები:

ა. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: a_kiknadze@gtu.ge

მ. მანჩხაშვილი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

ანოტაცია. კატარის „რბილი ძალის“ პოლიტიკის თავისებურებების შესწავლას და კონკრეტულად მის ერთ-ერთ ინსტრუმენტს - მედიაკომპანია „ალ-ჯაზირას“ სახელმწიფო იყენებს ეროვნული ინტერესების გასატარებლად. შედარებით მოკლე დროში კატარმა შეძლო არა მხოლოდ გეოგრაფიული და დემოგრაფიული შეზღუდვების დაძლევა, არამედ მიაღწია რეზონანსულ წარმატებებს როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე, განამტკიცა რა გავლენიანი მოთამაშის სტატუსი გლობალურ მასშტაბებში. „ალ-ჯაზირას“ მაგალითზე მოყვანილია ის მაჩვენებლები, რომლებიც მსგავსი სტრატეგიის ეფექტურობას ამტკიცებს საზღვარგარეთ, საზოგადოებაზე გავლენის გაზრდის მიზნით.

კვლევის მიზანია კატარის მასმედია „რბილი ძალის“ არსის ფორმულირება და საკვანძო კომპონენტების გამოვლენა, რომელიც საფუძვლად დაედო მცირე მონარქიის ამბიციური სტრატეგიების ეფექტურობას.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ალ-ჯაზირას“ მეშვეობით კატარის, როგორც პროგრესული და თანამედროვე სახელმწიფოს, სასარგებლო სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორის, საიმედო ენერგორესურსების მიმწოდებლის, მოთხოვნადი საერთაშორისო შუამავლის, ჰუმანიტარული დახმარების დონორის, გავლენიანი ინვესტორის, ასევე საგანმანათლებლო, კულტურული, სატრანს-

პორტო, ფინანსური და ტურისტული ცენტრის იმიჯის ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: „ალ-ჯაზირა“; კატარი; მასმედია; რბილი ძალა.

შესავალი

კვლევის პრობლემატიკა ეხება მედიამაგნატ „ალ-ჯაზირას“ საქმიანობას, რომელიც განიხილება, როგორც კატარის მიერ „რბილი ძალის“ განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ეროვნული ინტერესების გასაძლიერებლად.

საერთაშორისო პოლიტიკაში პოლიტოლოგ ჯოზეფ ნაის მიერ შემუშავებული „რბილი ძალის“ კონცეფცია შედგება სხვადასხვა ინსტრუმენტისგან, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ სახალხო დიპლომატია, მასმედია, გაცვლითი პროგრამები (მაგალითად, კულტურული), საგარეო პოლიტიკა, ასევე ფართო დახმარების გაწევა (მათ შორის ფინანსური, ჰუმანიტარული და ა.შ.). „რბილი ძალა“, ნაის მიხედვით, გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნების მისაღწევად ეფუძნება თანამშრომლობას, მიმართულს დარწმუნებასა და პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბებაზე, მიზიდულობაზე და არა ძალის გამოყენებაზე.

სწორედ ასეთ ტაქტიკას მიმართა სახელმწიფო კატარმა და „რბილი ძალა“ აირჩია თავისი საგარეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის, რომელიც არ გამოირჩევა დიდი ტერიტორიით, მოსახლეობით, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დიდი რაოდენობით. „რბილ ძალაში“ იგულისხმება საზღვარგარეთ ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია, მშფოთვარე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძლიერ მოთამაშეებთან არსებობის ფონზე პოზიციების გამყარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლება.

„ალ-ჯაზირას“ ქსელის საქმიანობა კი „რბილი ძალის“ გამოყენების ერთ-ერთი უნიკალური მაგალითია, მისი მასშტაბების და გავლენების გათვალისწინებით. ისეთმა ზესახელმწიფოებმაც კი, როგორიცაა აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და სხვა, რომლებიც ტრადიციულად ითვლება „რბილი ძალის“ პოლიტიკის განხორციელების საკითხში მოწინავე აქტორებად, თავიანთი დიდი ფინანსური, ეკონომიკური, ადამიანური, ბუნებრივი თუ სამხედრო რესურსების გათვალისწინებით, ვერ მოახერხა ასე დახვეწილად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საერთაშორისო მასშტაბით ბევრ პოლიტიკურ პროცესზე, როგორც კატარმა.

ძირითადი ნაწილი

კატარის „რბილი ძალის“ თეორიული ასპექტები

მცირე სახელმწიფოები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, განიხილება პერიფერიულ მოთამაშეებად საერთაშორისო პოლიტიკაში, ვინაიდან ხშირად საჭიროებს დაცვას უფრო ძლიერი მფარველისგან და იძულებულია მიიღონ სხვადასხვა ხელშესაწყობი სტრატეგიები უფრო ძლიერ მეზობლებსა და საერთაშორისო მოთამაშეებთან მიმართებაში, ამრიგად ისინი უფრო დიდი ძალების ჩრდილქვეშ იმყოფებიან. საუკეთესო შემთხვევაში მცირე სახელმწიფოებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ძალისმიერ პოლიტიკაში და არ გააჩნია საჭირო საშუალებები და რესურსები

იმ გარემოებებზე ზემოქმედებისთვის, რომელშიც ისინი აღმოჩნდა.

თუმცა, სწორი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მცირე სახელმწიფოებს შეუძლია რეალურად გასცდეს უბრალო მდგრადობის ჩარჩოებს და გახდეს გავლენიანი როგორც რეგიონში, ისე გლობალურ არენაზე. როგორც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი მეჰრან კამრავა (Mehran Kamrava) თვლის, სწორედ მსგავსი რამ მოხდა კატართან მიმართებაში, რომელიც მსხვილი მოთამაშე გახდა სპარსეთის/არაბეთის ყურეში[1] და ახლო აღმოსავლეთში, მიუხედავად იქ ბევრად უფრო დიდი და გავლენიანი მოთამაშეებისა.

კატარის შემთხვევაში, ოთხმა ფაქტორმა შეუწყო ხელი მის გადაქცევას გავლენიან რეგიონულ და საერთაშორისო მოთამაშედ. ისინი მოიცავდა საგულდაგულოდ უშეცდომო და ზუსტი ჰეჯირების[2] პოლიტიკას; აგრესიული გლობალური ბრენდინგის კამპანიას; მნიშვნელოვანი შესაძლებლობების არსებობას სახელმწიფოს მხრიდან; ქვეყნის უპირატესობის გონივრულ გამოყენებას. ერთობლივად, ამ ინიციატივებმა შექმნა სწორი პირობები, რამაც კატარს საშუალება მისცა თავისი გეგმები განეხორციელებინა.

კატარის გავლენა მიღებულ იქნა საგულდაგულოდ კომბინირებული მარკეტინგის, შიგა პოლიტიკის, რეგიონული დიპლომატიის ნაზავიდან, რესურსების ხელმისაწვდომობისა და ფლობის მეშვეობით ანუ წარმოადგენდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, პროფესორ ჯოზეფ ნაის (Joseph S. Nye, Jr.) მიერ დანერგილ „რბილი ძალის“ (Soft power) კონცეფციის ინსტრუმენტებს [14, გვ. 94-96].

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საგარეო პოლიტიკაში ამომავალ წერტილად ითვლება მდგომარეობა, რომლის მიხედვით ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და საერთაშორისო ვითარებაზე გავლენის მოპოვებისათვის ქვეყნის სიძლიერე მსოფლიო არენაზე განისაზღვრება პირველ რიგში მისი სამხედრო ძალის საფუძველზე, კომპიუტერული ტერმინოლოგიის ანალოგიით - „ხისტ ძალაზე“ (Hard power) და არა კულტურის, ავტორიტეტის საფუძველზე ან სხვა სახის „პროგრამულ უზრუნველყოფაზე“ - „რბილ ძალაზე“ (Soft power).

პროფესორ ჯოზეფ ნაის[3] მიერ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში შემუშავებულმა „რბილი ძალის“

[1] არაბულ სამყაროში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი **არაბული ყურე** (არაბ.: **الخليج العربي** - ალ-ხალიჯ ალ-არაბია; ინგლ.: Arabian Gulf)

[2] **ჰეჯირება** (ინგლ.: Hedging) - დაზღვევა მოსალოდნელი დანაკარგებისგან, ზარალისგან, რომლის მიზანია რისკის შემცირება. იხ.: https://forbes.ge/ra-aris-hedjireba/

[3] **ჯოზეფ ნაი უმცროსი** (Joseph S. Nye, Jr.; დაბ. 1937) - ამერიკელი პოლიტოლოგი, ნეოლიბერალიზმის მიმართულების ავტორი. წამყვანი ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში. ამჟამად, ჯონ კენედის სახ. სახელმწიფო მმართველობის ჰარვარდის ინსტიტუტის პროფესორი და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების რეფორმის პროექტის მონაწილეა.

1980-იან წლების მეორე ნახევარში ნაიმ საერთაშორისო პოლიტიკაში დაამკვიდრა ცნება „რბილი ძალა“ (ინგლ.: Soft power; ნაშრომი „ამერიკული ძალის ცვალებადი ბუნება“ - Bound to Lead: The Changing Nature of American Power, NY: Basic Books, 1990), რომელიც აღწერს ძალაუფლების გამოყენების, გავლენის გაზრდის არაძალადობრივ მეთოდს, როდესაც სამიზნე ობიექტის სურვილებისა და განწყობების განსაზღვრა ხდება მისი კეთილგანწყობის მოპოვების და არა იძულების გზით. „რბილ ძალას“ განასხვავებენ „ხისტი ძალისგან“ (Hard Power), რომელიც მოსყიდვას და იძულებას მოიაზრებს. ნაი აღნიშნავდა: „როდესაც ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებს აკეთებინებს იმას, რაც

კონცეფციამ მრავალი თვალსაზრისით შეცვალა ძალასთან მიმართებაში წარმოდგენები. ნაი აყალიბებს სახელმწიფოს სიძლიერის ორ მსხვილ შემადგენელს: „ხისტ ძალას“ (Hard power) და „რბილ ძალას“ (Soft power). „ხისტ ძალაში“ იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური სიძლიერის ერთობლიობა, ხოლო „რბილი ძალა“ ძირითადად ხასიათდება კულტურით, განათლებით, ფასეულობებით და პოლიტიკური იდეოლოგიით.

აქვე აღსანიშნავია, რომ „ხისტი ძალის“ გამოყენების იდეა ანტიკურ ხანაშიც იყო ცნობილი და ეკუთვნოდა ძველ ჩინელ ფილოსოფოს ლაო-ძის (VII ს. ძვ.ა.), რომელიც ამბობდა, „სამყაროში არაა საგანი, რომელიც წყალზე რბილი და ნაზია, მაგრამ შეუძლია დაანგრიოს ყველაზე მაგარი საგანი“. სხვადასხვა ლიტერატურაში „რბილი ძალის“ სინონიმია „თაფლაკვერი“ ან „სტაფილო“, ხოლო „ხისტი ძალის“ – „მათრახი“.

იმ დროს, როცა „ხისტ ძალასთან“ დაკავშირებული რესურსები (ძალაუფლება, ფინანსები და ა.შ.) ხელშესახებად ითვლებოდა, „რბილი ძალის“ ძირითადი რესურსები არამატერიალურია: პირველ რიგში, ესენია - ინსტიტუტები, იდეები, ღირებულებები, კულტურა. ნაის სიტყვებით „რბილი ძალა“ საშუალებაა სურვილის მიღწევის, მოკავშირეების ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე და არა იძულების ან გადახდების გზით. მოიცავს „მოანდომო სხვებს სურდეთ იგივე, რაც შენ თვითონ გინდა“. პროფესორის თქმით, ენა და კულტურა არის „რბილი ძალა“, რომელიც საკვანძო როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში და პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკასა და ბიზნესკავშირებზე. „რბილი ძალა“ ემყარება მორალური იდეალების მიმზიდველობის კულტივირებას და ცხოვრების წესის პოზიტიურ მაგალითებს, რომელიც განვითარდა კონკრეტულ კულტურაში. მისი გამოყენება ფასეულობების ძალის გამოყენებაა.

მოგვიანებით, 2011 წლის ნაშრომში „ძალაუფლების მომავალი“ (The Future of Power, PublicAffairs, 2011) ნაიმ შეავსო წინა განმარტება და კონცეპტუალურად აღწერა „რბილ ძალა“, როგორც „სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა საკუთარი მიზნების რეალიზაციის მიზნით, გარკვეულ სფეროებში თანამშრომლობის გზით, რომელიც მიმართულია დარწმუნებასა და პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბებაზე“. „რბილი ძალა“ საშუალებაა მოიზიდო, აარჩევინო, არ დააძალო, რაც ხშირად იწვევს ურთიერთგაგებას. „რბილი ძალა“ მომხიბვლელი ძალაა, რომელიც იყენებს ეკონომიკას, კულტურას, განათლებას დარწმუნების საშუალებად“.

საერთაშორისო ურთიერთობებში „რბილი ძალის“ გამოყენების ძირითადი მიზეზია ურთიერთდამოკიდებულების გაფართოება და მაღალი ფასი, რომელსაც ქვეყნები იხდის საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად „ხისტი ძალის“ მეშვეობით [28, გვ. 24, 90-91].

ჯოზეფ ნაი აღნიშნავს, რომ „სხვების ქცევაზე შეიძლება გავლენა მოახდინო სამი ძირითადი საშუალებით: იძულების მუქარით (მათრახი/ჯოხი

მას სურს, არა იძულების, არამედ თანამშრომლობის გზით, ეწოდება „რბილი ძალა“, განსხვავებით „ხისტი ძალისგან“, რომელიც ბრძანების გაცემას, დავალების მიცემას გულისხმობს“.

- stick), წახალისებით/გადახდით (სტაფილო/თაფ-ლაკვერი - carrot) და მიმზიდველობით, რომელიც სხვებს აიძულებს ისურვოს ის, რაც შენ გინდა“.

კატარი „რბილ ძალას“ ახორციელებს მიზიდულობისა და „თაფლაკვერის“ საშუალებით. მიზიდულობის წყაროა პოლიტიკური სტაბილურობა, განპირობებული აშშ-თან სამხედრო ალიანსით, შემოსავლების ეფექტური გადანაწილების პოლიტიკა და უმაღლესი განათლების სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა კატარის სტატუსი რეგიონში. „სტაფილოს დიპლომატიაში“ (Carrot diplomacy) კი იგულისხმება „ალ-ჯაზირას“ ქსელი, ინვესტიციები სპორტში და საგარეო დახმარების გულუხვი პოლიტიკა. „ალ-ჯაზირას“ იმიჯი, როგორც უძლურთა ხმა, პროგრესულ უმაღლეს განათლების სისტემასთან ერთად, გავლენას ახდენს ათასობით ადამიანის გულსა და გონებაზე [1, გვ. 1-5].

აშშ, დასავლეთის ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, თურქეთი, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის წამყვანი ქვეყნები ბოლო წლებში ინტენსიურად იყენებს ასეთ ძალას და მათ რიგებში პატარა კატარის გამოჩენა ძალზე საინტერესო მოვლენად გვევლინება [14, გვ. 121].

კატარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება

დღევანდელი ახლო აღმოსავლეთი წააგავს ინგლისელი ფილოსოფოს თომას ჰობსის (Thomas Hobbes; 1588-1679 წწ.) მიერ აღწერილ „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“ (The War of all against all). გარდა სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებისა, რეგიონი იტანჯება სხვადასხვა სახის კონფლიქტებისგან, ხოლო ზოგიერთში მეომარ მხარეთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. ამ საგანგაშო ფონზე კატარის პატარა საამირო გამოირჩევა არა მხოლოდ კეთილდღეობით, არამედ ამბიციებითა და გავლენით, რაც აშკარად არაპროპორციულია მოკრძალებულ ზომასთან შედარებით. საამიროს წარმატების ისტორია უნიკალური მაგალითია მსოფლიო ისტორიაში და პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის დომინანტურ თეორიას [8].

კატარი (ოფიციალურად **სახელმწიფო კატარი**; არაბ.: **دولة قطر**-„დავლათ კატარ“; ინგლ.: **State of Qatar**) არაბული სახელმწიფოა (საამირო) სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სამხრეთიდან ესაზღვრება საუდის არაბეთი, ხოლო ყველა დანარჩენი მხრიდან სპარსეთის/არაბეთის ყურე. ჩრდილო-დასავლეთით აქვს საზღვაო საზღვარი ბაჰრეინთან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.

ქვეყნის დედაქალაქია **დოჰა** (არაბ.: **الدوحة** - „ადდავჰა“; ინგლ.: Doha). კატარის ფართობი მოიცავს დაახლოებით 11,586 კმ^2-ს, ქვეყნის მოსახლეობა, 2024 წლის იანვრის მონაცემებით, 3,118,214 ადამიანია [29]. აქედან თავად არაბი კატარელები 11,6%-ია, ხოლო 88,4% – ჩამოსული ემიგრანტებია. ქვეყნის ოფიციალური რელიგიაა ისლამი, რომელსაც აღმსარებლობს მოსახლეობის 65,2%. საამიროში ოფიციალური ენა არაბულია, ინგლისური გამოიყენება, როგორც მეორე ენა.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

კატარის მოქალაქეებს მსოფლიოში ყველაზე მაღალი შემოსავალი აქვთ. კატარის მშპ-მა (GDP) ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს $96,600 შეადგინა [22].

ქვეყანას აქვს ბუნებრივი აირის სიდიდით მესამე დადასტურებული მარაგი მსოფლიოში და თხევადი ბუნებრივი აირის (Liquefied natural gas, LNG) ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მე-6 ადგილზეა, ასევე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსხვილი ექსპორტიორია [5].

სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა აბსოლუტური მონარქია, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა ალ სანის (არაბ.: آل ثاني; ინგლ.: House of Thani) დინასტიის შეიხებს, ამირებს შორის, რომლებიც საამიროს 1825 წლიდან მართავენ.

კატარი ბოლო 60 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის სამეფოს მარგალიტის მომპოვებელი ღარიბი პროტექტორატიდან გადაიქცა უმდიდრეს სახელმწიფოდ, გაზიდან და ნავთობიდან მნიშვნელოვანი შემოსავლების მეშვეობით.

ქვეყანა 1916-1971 წლებში დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, დამოუკიდებლობა 1971 წლის 3 სექტემბერს მოიპოვა. **შეიხმა ხალიფა ბინ ჰამად ალ სანიმ** (Sheikh Khalifa bin Hamad Al Thani; 1972-1995 წწ.), მაშინდელმა ტახტის მემკვიდრემ და პრემიერ-მინისტრმა, შეწყვიტა 1916 წლის ხელშეკრულების მოქმედება და დამოუკიდებელი სახელმწიფს შექმნა გამოაცხადა, რაც ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპის მაუწყებელი გახდა [9].

კატარის ეროვნული მოდერნიზაციისა და გლობალური ინტეგრაციის სტრატეგია 1980-იან წლებში დაიწყო და კულმინაციას 1995 წელს მიაღწია, როცა **შეიხმა ჰამად ბინ ხალიფა ალ სანიმ** (Sheikh Hamad bin Khalifa Al Thani; 1995-2013 წწ.; დაბ. 1952) უსისხლო გადატრიალების შედეგად შეცვალა მისი მამა, ხალიფა ბინ ჰამად ალ სანი. მან აამაღლა პატარა, ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნის გავლენა და დიდი ყურადღება მიანიჭა ეკონომიკურ ზრდას, დიპლომატიურ ჩართულობასა და შეზღუდული პოლიტიკური ლიბერალიზაციის კურსს.

კატარის ამჟამინდელი მმართველია ამირა **შეიხ თამიმ ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ სანი** (**Sheikh Tamim bin Hamad Al Thani/تميم بن حمد بن خليفة آل ثاني**; დაბ. 1980 წ. 3 ივნისს), რომელმაც თავისი მმართველობა 2013 წლის 25 ივნისს დაიწყო, როდესაც მისი მამა შეიხ ჰამად ბინ ხალიფა ტახტიდან გადადგა, რაც კატარში ძალაუფლების პირველ ნებაყოფლობით და დაგეგმილ გადაცემას ნიშნავდა დამოუკიდებლობის შემდეგ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამირამ გააგრძელა მამის მიერ დაწყებული ქვეყნის მოდერნიზაციის პროგრამა და კატარის მოსახლეობამ ცვლილებების უპრეცედენტო ტემპი განიცადა, რაც განსაკუთრებით აისახა დოჰას ღარიბი ქალაქიდან საერთაშორისოდ აღიარებულ მეტროპოლიად გადაქცევაში [21, გვ. 1142]. დაიწყო რეფორმების ახალი ერა ყველა დონეზე, განსაკუთრებით სპორტის, ჯანდაცვის, ტურიზმის, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სფეროში [17, გვ. 35-36].

კატარი წლების განმავლობაში საუდის არაბეთის პოლიტიკის აჩრდილად რჩებოდა. სახელმწიფოს, რომელსაც არც სამხედრო ძალა და არც ადამიანური რესურსები ჰქონდა, ანუ გავლენის მოსაპოვებლად აუცილებელი „ხისტი ძალა“, არ შეეძლო საფრთხეების თავიდან აცილება, ამიტომ ქვეყნის მმართველები რჩებოდნენ საუდის არაბეთზე დამო-

კიდებული, თუმცა საკუთარი სახელმწიფოს იმიჯზე დახვეწილმა მუშაობამ, ასევე „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების შემუშავებამ ეს ხარვეზები აანაზღაურა.

ამირამ ჩამოაყალიბა საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლებიც მოიცავდა საზოგადოების უსაფრთხოების, სტაბილურობის უზრუნველყოფას და სახელმწიფოსთვის უნიკალური ბრენდის შექმნას. კონფლიქტებში შუამავლობა, ნეიტრალიტეტი და მშვიდობის შენარჩუნება საგარეო პოლიტიკის არსებითი მახასიათებელი გახდა ჰამად ალ სანის მეფობის პირველ წლებში. შესაბამისად, შეიცვალა წყაროები და ინსტრუმენტები: საშუამავლო დიპლომატიამ, ქვეყნის მასშტაბებთან შედარებით კოლოსალურმა ბუნებრივმა რესურსებმა, მედიაპლატფორმების გაშვებამ, როგორიცაა „ალ-ჯაზირა“ და კავშირებმა პანისლამისტურ დაჯგუფებებთან, ხელი შეუწყო ქვეყნის გარღვევას საერთაშორისო ასპარეზზე [27, გვ. 43].

ბუნებრივი აირის უზარმაზარი მარაგი კატარის მოსახლეობას მსოფლიოში ცხოვრების ერთ-ერთი უმაღლესი სტანდარტის გარანტიას აძლევს. აქ არაბ გასტრაბაიტერებს წელიწადში უფრო მეტი შემოსავლის მიღება შეუძლიათ, ვიდრე ათწლეულის განმავლობაში სახლში. ამავდროულად, დოჰა მათ წინაშე ჩნდება, როგორც მდიდარი ცენტრი, სადაც პირველ ადგილზე ჭეშმარიტი ისლამური ღირებულებებია [8].

ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტის მეშვეობით ბოლო პერიოდში კატარი უპრეცედენტო ეკონომიკურ ბუმს განიცდის. კატარის მთავრობა ცდილობს დააჩქაროს ეკონომიკური კეთილდღეობა რამდენიმე სტრატეგიის გამოყენებით.

2008 წელს კატარის ხელისუფლებამ გამოაცხადა **„კატარის ეროვნული ხედვა 2030“** (არაბ.: **رؤية قطر الوطنية 2030**; ინგლ.: **Qatar's National Vision, QNV 2030**). მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო თავის ვებგვერდზე განმარტავს, რომ ეროვნული ხედვა დამყარებულია ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ბურჯზე:

- ადამიანური განვითარება (Human development), სადაც განათლება სოციალური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. სახელმწიფო უზრუნველყოფს, ხელს უწყობს და ცდილობს მის გავრცელებას [17, გვ. 49]. აქვე აღვნიშნავთ, რომ განათლება კატარისთვის „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. საამირო ყოველწლიურად მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფს კატარის უნივერსიტეტებში სასწავლო გრანტებისთვის, დასავლური განათლებისა და პროგრესული ღირებულებების პოპულარიზაციისთვის. ამან მოიზიდა ქვეყანაში წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ამავდროულად ამჟამინდელი ამირა მეტ ყურადღებას აქცევს ისლამური განათლების მიღებას, კონსერვატიულ სწავლებას არაბულ ენაზე. კატარი ისლამური სასწავლებლების და ცენტრების მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელია ახლო აღმოსავლეთში, სადაც ასევე რელიგიურ ლიდერებს ამზადებენ.

ადგილობრივი უნივერსიტეტები ირჩევს ნიჭიერ არაბ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლისა და სოციალური წინსვლის ფული არ აქვთ. მათ ეძლევათ საგანმანათლებლო გრანტები,

სტიპენდიები, უპროცენტო და უვადო სესხები. კატარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ სახელმწიფო უწყებებში, არაბული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში - მსხვილ კომპანიებსა თუ კორპორაციებში [8].

- სოციალური განვითარება (Social development), სადაც ოჯახი (ქალისა და მამაკაცის ერთობა) არის საზოგადოების საფუძველი დაფუძნებული რელიგიაზე, ეთიკასა და პატრიოტიზმზე. კანონი უნდა არეგულირებდეს ოჯახის, დედობის, ბავშვობისა და სიბერის დაცვას;
- ეკონომიკური განვითარება (Economic development), სადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს მეწარმეობის თავისუფლებას, დაბალანსებულ თანამშრომლობას კერძო და საჯარო სექტორებს შორის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, წარმოების გაზრდის, კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლებისა და დასაქმების შესაძლებლობის წარდგენის მიზნით;
- ეკოლოგიური განვითარება (Environmental development), სადაც სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს გარემოსა და მის ბუნებრივ წონასწორობაზე, რათა მიაღწიოს ყოვლისმომცველ და მდგრად განვითარებას ყველა თაობისთვის [23].

მცირე ქვეყნები ხშირად ორ ტიპის სტრატეგიას იყენებს საერთაშორისო ასპარეზზე მეტი მხარდაჭერის მოსაპოვებლად: საჯარო დიპლომატია და „(ერი) ბრენდი“. ერი ქმნის თავის ეროვნულ ბრენდს, სახალხო დიპლომატიას კი ეს ბრენდი მსოფლიო ასპარეზზე გაჰყავს [17, გვ. 49].

მოდელი, როგორიცაა კატარი, სახალხო დიპლომატიის დონეზე, თავისი „რბილი“ საქმიანობით, კონფლიქტებში „შუამავლის როლს“ ასრულებს, ამ როლიდან კი – სარგებლის მიღებით და მისი გადაქცევით დიპლომატიურ მიღწევაში, რაც აძლიერებს მის პოზიციებს ტურბულენტურ რეგიონში და საერთაშორისო ასპარეზზე. მისი დიპლომატიური ძალისხმევა აჭარბებს კატარის შეზღუდულ გეოგრაფიულ ტერიტორიას და მოსახლეობას. ასე, რომ კატარმა წარმატებას მიაღწია, როგორც შუამავალმა ლიბანში, სადაც საუდის არაბეთი, ეგვიპტე, საფრანგეთი და „არაბულ სახელმწიფოთა ლიგა“ (LAS)[4] წარუმატებელი აღმოჩნდა.

პროფესორ აიად ალ-ურფის (Iyad Al-'Orfi) თქმით, კატარის როლი ამ კრიზისების მოგვარებაში ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებიც ამ როლს ძალასა და პრესტიჟს ანიჭებს: 1) კატარს აქვს თავისებური და გამორჩეული ურთიერთობები საკვანძო მოთამაშეებთან ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე; 2) აქვს ეკონომიკური ძალა; 3) აქვს მედიაპლატფორმა – Al-Jazeera-ს ქსელი. კატარის პოზიტიური იმიჯი არაბების გონებაში ასოცირდება „ალ-ჯაზირას“ მიღწევებთან, რადგან იგი გახდა ახალი ამბების წყარო უცხოური არხებისთვის, საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთებისთვის [17, გვ. 50].

[4] **არაბულ სახელმწიფოთა ლიგა** (არაბ.: **جامعة الدول العربية** - ჯამიათ ად-დუვალ ალ-არაბია; ინგლ.: League of Arab States) - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 22 არაბულ ქვეყანას და პარტნიორ სახელმწიფოებს. შეიქმნა 1945 წ. 22 მარტს. უმაღლესი ორგანოა ლიგის საბჭო. შტაბ-ბინა კაიროში (ეგვიპტე) მდებარეობს .

„კატარმა კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი ფინანსური, პოლიტიკური და სამხედრო როლი შეასრულა რეგიონალური უთანხმოების დარეგულირებაში და აშშ-თან პარტნიორობით ხელი შეუწყო პროგრესს და სტაბილურობას რეგიონში“, - ასე წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. საამირო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობს ყურის რეგიონში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი ალ-უდაიდის სახ. სამხედრო საჰაერო ძალების ბაზის (Al Udeid Air Base) მეშვეობით, ასევე NATO-სა და აშშ-ის სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერით.

საინტერესოა, რომ ალ-უდაიდის ბაზის გაფართოებისათვის აშშ-მა $8 მილიარდზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. ბაზაზე განთავსებულია აშშ-ის ცენტრალური სარდლობის (US Central Command/CENTCOM) შტაბი, აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ცენტრალური სარდლობა (US Air Forces CENTCOM), გაერთიანებული უწყებათაშორისი ოპერატიული დაჯგუფება–სირია (Combined Joint Interagency Task Force-Syria, CJTF-OIR) და აშშ-ის საჰაერო ძალების 379-ე საჰაერო საექსპედიციო ფრთის შტაბი (379th Air Expeditionary Wing of the US Air Force). ბაზაზე დისლოცირებულია 13000-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო და 100-ზე მეტი თვითმფრინავი ასრულებს საბრძოლო ამოცანებს ამ ობიექტიდან ოპერაციისათვის „დაიშის“ (ISIS) წინააღმდეგ.[5]

გარდა ამისა, კატარი აფართოებს თავისი არმიის წვრთნის შესაძლებლობას აშშ-ის დახმარებით და მისგან იარაღს ყიდულობს. 2014 წელს კატარმა აშშ-თან ხელი მოაწერა $11 მილიარდიან კონტრაქტს Apache-ის დამრტყმელი შვეულმფრენებისა და სხვა საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვაზე. მოგვიანებით, 2016 წელს, ვაშინგტონმა 72 ცალი F-15QA მოიერიშე თვითმფრინავები $ 21,1 მილიარდად მიყიდა ყურის პარტნიორს [10].

კატარი უკვე რამდენიმე წელია მნიშვნელოვანი პლაცდარმია ერაყსა და სირიაში ISIS-ის წინააღმდეგ, კოალიციური ძალების სამხედრო ოპერაციების შესრულებაში.

კატარი მნიშვნელოვნად იყო ჩართული სუდანში დარფურის კონფლიქტის მოგვარებაში, ასევე სომალში ჰუსითებსა[6] და იემენის მთავრობას შორის, აფრიკის რქასა და ლიბიაში კონფლიქტების დარეგულირებაში. ერაყში კონტაქტზეა ყველა ფრაქცი-

[5] **ისლამური სახელმწიფო** (არაბ: **الدولة الإسلامية** – ად-დავლათუ ალ-ისლამია; ინგლ.: **Islamic State (IS);** იგივე **ISIL** ან **ISIS**; არაბ. აკრონიმი **დაიშ** (**داعش/Da'ish**) - მსოფლიოს N 1 სალაფიტურ-ჯიჰადისტური, ვაჰაბიტური, ფუნდამენტალისტურ-ისლამისტური, ყველაზე სასტიკი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ცნობილი გახდა 2014 წ., როდესაც დაიპყრო ერაყისა და სირიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. არსებობდა, როგორც კვაზი-სახელმწიფო და გამოცხადდა სახალიფოდ 2014 წ. 29 ივნისს, დედაქალაქით სირიის ქ. არ-რაკაში. 2015 წ. ბოლოს ის მართავდა ტერიტორიას 110 ათ. კმ^2 ფართობით და 12 მლნ. მოსახლეობით, სადაც იყენებდა შარიათის კანონების დამახინჯებულ ინტერპრეტაციას, წლიური ბიუჯეტი $ 1 მლრდ მეტი. „დაიშის“ ტერორისტთა რაოდენობა 50000-მდე მერყეობდა. „დაიში“ საბოლოოდ განადგურდა 2019 წ. დასაწყისში სირიაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა საერთაშორისო კოალიცია აშშ-ის მეთაურობით (Global Coalition against Daesh), თუმცა ის დღესაც ქმნის საფრთხეს. „დაიშის“ მე-5 და ამჟამინდელ ლიდერად ითვლება **აბუ ჰაფს ალ-ჰაშიმი ალ-კურაიში** (Abu Hafs al-Hashimi al-Qurashi) - 2023 წ. 3 აგვისტოს ხალიფად დასახელდა.

[6] **ჰუსითები** (არაბ.: **الحوثيون** – ალ-ჰუსიუნ; ინგლ.: **Houthis ან Houthi movement**; ოფიც. არაბ.: **أنصار الله - ანსარ ალ-ლაჰ**; ინგლ.: **Ansar Allah**) იემენში მოქმედი შიიტ-ზაიდიების გასამხედროებული დაჯგუფება.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ისა და ძალისგან [17, გვ. 92]. კატარი მთავარი პლატფორმა გახდა სირიაში ასადის საწინააღმდეგო ძალების კომუნიკაციისა და ძალისხმევის კოორდინაციისთვის [8].

„რბილი ძალის“ ელემენტების ჩართვა კატარს დაეხმარა თავისი როლის შენარჩუნებაში რეგიონსა და საერთაშორისო დონეზე. ეს როლი საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული 2021 წელს ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის დროს. ავღანეთის ბოლოდროინდელმა კრიზისმა „კატარს საშუალება მისცა გაეძლიერებინა პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებაში შუამავლის როლის შესრულებით, დასავლეთსა და თალიბანს[7] შორის. კატარის წვდომამ და კავშირებმა როგორც ვაშინგტონთან, ისე თალიბანთან, ასევე ნეიტრალური შუამავლის რეპუტაციამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მნიშვნელოვან მოთამაშედ გადაქცევაში“ [17, გვ. 92].

რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, კატარი მნიშვნელოვანი შუამავლის როლს ასრულებს უკანონოდ დეპორტირებული და იძულებით გადაადგილებული უკრაინელი ბავშვების სამშობლოში დაბრუნებაში. რუსეთ-უკრაინის ომში ჰუმანიტარული მისიის შესრულება ხელს უწყობს კატარს შეაღწიოს დიდ პოლიტიკაში და თავისი იმიჯი აამაღლოს.

როგორც უკრაინელი ექსპერტი ი.რეიტეროვიჩი თვლის, კატარელები რუსეთ-უკრაინის ომს გვერდს ვერ აუვლიდნენ, რადგან ეს მათთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, მათ შორის აშშ-თან კონტაქტის საშუალებით შესთავაზონ თავიანთი მედიაცია დაპირისპირებულ მხარეებს. გარდა ამისა, კატარს რუსები უკეთ აღიქვამენ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომელმაც შუამავლობა შესთავაზა, რადგან ის თანაბარ დისტანციაზეა და ღიად პრო-უკრაინული ან პროდასავლური არაა. ამიტომ საამირო, როგორც შუამავალი, საკმაოდ მისაღებია ყველა მხარისთვის [24].

კატარის მჭიდრო კავშირების მიუხედავად აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციები იქ თავს, როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობენ.

ათწლეულებია, კატარი აგრძელებს მათ მხარდაჭერას და ამავდროულად აშშ-ის ღირებულ პარტნიორად რჩება რეგიონში. როგორ გახდა ეს შესაძლებელი? [3]

კატარი ისლამისტურ დაჯგუფებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახორციელებს, პირველ რიგში, „სტაფილოს“ მიწოდებით [1, გვ. 13]. საამირომ

[7] **მოძრაობა ტალიბანი** (პუშთუ.: **طالبان**; ინგლ.: **Taliban**; სტუდენტები, მოსწავლეები) - ისლამისტური, რელიგიურ-პოლიტიკური გასამხედროებული მოძრაობა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და გაეროს მიერ (2003 წლიდან) ითვლება ტერორისტულ ორგანიზაციად. 1994 წ. ავღანეთში პუშთუნებმა შექმნეს და მართავდნენ ავღანეთს 1996-2001 წლებში და პაკისტანის ჩრდილოეთით ვაზირისტანის რეგიონს 2004 წლიდან.

2021 წელს, აშშ-ის მიერ ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, თალიბებმა შეტევა წამოიწყეს და აგვისტოსთვის დაამყარეს კონტროლი ქვეყნის უმეტეს ნაწილზე, 15 აგვისტოს კი დაიკავეს დედაქალაქი ქაბული და გამოაცხადეს „ავღანეთის ისლამური საამიროს“ (Islamic Emirate of Afghanistan) შექმნა.

2016 წლის 25 მაისიდან თალიბანის ამჟამინდელი ლიდერი და რელიგიური მოღვაწეა დეობანდი (სუნიტური მოძრაობა ინდოეთიდან) ღვთისმეტყველი, ავღანეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე **მავლავი ჰაიბათულაჰ ახუნზადა** (Mawlawi Haibatullah Akhunzada; დაბ. 1961). 2021 წ. 15 აგვისტოდან კი ავღანეთის ისლამური საამიროს დეფაქტო ამირა.

დაამყარა პოლიტიკური ალიანსი და მჭიდრო კავშირი ახლო აღმოსავლეთის არასახელმწიფო აქტორებთან, როგორიცაა „ჰამასი“ (მისი ლიდერები კატარში ცხოვრობენ) [8], „ჰიზბალაჰი“[9], „მუსლიმთა საძმო“ ეგვიპტეში, ტუნისში, ლიბიაში, რომლებსაც დაძაბული ან კონფლიქტური ურთიერთობები აქვს დასავლეთთან. ამავდროულად კატარი მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებს ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების მტერ ისრაელთან, რამაც კატარს საშუალება მისცა პოზიციონირდეს, როგორც „მუდმივი შუამავალი“ და მომლაპარაკებელი კონფლიქტებში [21, გვ. 1150].

კატარი აქტიურადაა ჩართული ისრაელსა და ჰამასს[10] შორის მიმდინარე კონფლიქტის დარეგუ-

[8] **ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა** (არაბ.: **حركة المقاومة الإسلامية** – ჰარაკათ ალ-მუკავამა ალ-ისლამი; ინგლ.: **Islamic Resistance Movement**; არაბ. აკრონიმი **ჰამას** [არაბ.: **حَمَاس**; ინგლ.: Hamas]) – პალესტინური, ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია. „ჰამასი“ აკონტროლებს ღაზას სექტორს პალესტინაში, სადაც განლაგებულია მისი შტაბ-ბინა. ორგანიზაციას აქვს სამხედრო ფრთა Izz ad-Din al-Qassam Brigades (IQB). „ჰამასის“ ამჟამინდელი ლიდერია **იაჰია ას-სინვარი** (Yahya Sinwar; დაბ.1962). „ჰამასი“ დაარსდა 1987 წ. პალესტინის პირველი „ინთიფადის“ (აჯანყების) დროს, პანისლამისტური „მუსლიმთა საძმოს“ ორგანიზაციებიდან; მისი პირველი ლიდერი იყო შეიხ აჰმად იასინი (Ahmed Yassin; 1936-2004 წწ.). „ჰამასი“ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად ისრაელის, კანადის, აშშ-ის, ბრიტანეთის, იაპონიის, ევროკავშირის, OAS-ის და სხვა ქვეყნების მიერ. ამავდროულად, არ ითვლება ტერორისტულად ნორვეგიაში, რუსეთში, თურქეთში, ჩინეთში, კატარში, ინდოეთში, ირანში, OIC-ის ბევრ ქვეყანაში.

ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ჰამასის“ ლიდერები განიხილავენ თავიანთი შტაბ-ბინის დოჰადან რეგიონის სხვა ქვეყნებში გადატანას (ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება ომანი), სადაც ორგანიზაციის პოლიტბიუროს წევრები 12 წელია კომფორტულად ცხოვრობენ კატარის მთავრობის სრული თანხმობითა და ფინანსური დახმარებით. ამის მიზეზად სახელდება კატარის უკმაყოფილება „ჰამასის“ ქმედებით, რომელიც აპირებს თვეების განმავლობაში აწარმოოს მოლაპარაკებები ისრაელიდან მის მიერ გატაცებულ ტყვეების გათავისუფლებაზე, რაც დარტყმის ქვეშ აყენებს კატარის შუამავლის იმიჯს, აშშ-ის ზეწოლის ფონზე კატარის ხელისუფლებაზე, გავლენა მოახდინოს ტყვეებთან და ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული გარიგების დროულად დადებისათვის. 2024 წ. 17 აპრილს კატარის პრემიერმა შეიხ მუჰამად ბინ ბინ ჯასიმ ალ სანიმ (Mohammed bin Jassim Al Thani) განაცხადა, რომ „კატარი, ისრაელსა და ჰამასს შორის შუამავლის როლის სრულიად გადაფასების პროცესშია, ვინაიდან არსებობს კატარის როლის ბოროტად გამოყენება და ინტერესების უგულებელყოფა“. მოგვიანებით, კატარის საგარეო უწყების სპიკერი მაჯიდ ალ-ანასრი (Majed al-Ansari) აცხადებს, რომ „კატარს ამ ეტაპზე არ აქვს გადაწყვეტილი დახურავს თუ არა „ჰამასის“ ოფისს, რადგან შუამავლების არხები ჯერ კიდევ არსებობს. „შუამავლობის მცდელობები გრძელდება, ამიტომ არ არსებობს იმის მიზეზი, რომ დოჰაში „ჰამასის“ ოფისი დაიხუროს. მოვუწოდებთ ორივე მხარეს გამოიჩინონ მეტი მოქნილობა და სერიოზულობა“. იხ.: https://edition.cnn.com/middleeast/live-news/israel-hamas-war-gaza-news-04-23-24/index.html

[9] **ჰიზბალაჰი** (არაბ.: **حزب الله – ალაჰის პარტია;** ინგლ.: Party of Allah/Hezbollah) – გასამხედროებული ლიბანური შიიტური ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოდის ლიბანში ირანის მსგავსი სახელმწიფოს შექმნისთვის. აღიარებულია ტერორისტულად კანადაში, აშშ-ში, ისრაელში, ეგვიპტეში, LAS-ის მიერ 2016 წლიდან, ყურის არაბული მონარქიების მიერ, ნაწილობრივ ევროკავშირში, ავსტრალიასა და ბრიტანეთში. სარგებლობს ირანისა და სირიის მხარდაჭერით. მოძრაობის დამაარსებელია ლიბანელი შიიტი კლერიკი სუბჰი ატ-ტუფაილი (Subhi al-Tufayli; დაბ.1948). იგი შეიქმნა 1982 წ. ლიბანის ომის შემდეგ, ლიბანელი სასულიერო პირების მიერ. Hezbollah-ის პოლიტიკური ფრთა წარმოდგენილია ლიბანის პარლამენტში 1992 წლიდან. მისი ლიდერია მესამე გენმდივანი **ჰასან ნასრალაჰი/ნასრალა** (Hassan Nasrallah; დაბ. 1960 წ.).

[10] „ჰამასის“ სამხედრო ფრთა - IQB-ის მეთაურმა მუჰამად დაიფმა (Mohammed Deif/Diab Ibrahim Masri) ისრაელის წინააღმდეგ ოპერაციის **„ალ-აკსას წარღვნა“** (არაბ.: **عملية طوفان الأقصى** - ამალიათ ტუფან ალ-აკსა; ინგლ.: Al-Aqsa Flood ან Deluge) დაწყება გამოაცხადა. „ჰამასმა“ ამ ოპერაციას შურისძიება უწოდა, ალ-აკსას მეჩეთის გამო. ოპერაცია დაიწყო 7 ოქტომბრის დილას, ღაზას სექტორიდან ისრაელის 5 ათასამდე რაკეტით დაბომბვით და 2500-ზე მეტი ბოევიკის შეღწევით ხმელეთიდან, ზღვიდან და საჰაერო გზით. დაიღუპა დაახლოებით 1200 ისრაელელი, კიდევ 253 ისრაელელი და უცხოელი მძევლად აიყვანეს; გარდა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისა, დაფიქსირდა არაერთი სექსუალური ძალადობის ფაქტი ქალების, მამაკაცების მიმართ. თავდასხმა გახდა ებრაელების უდიდესი ხოცვა-ჟლეტა ჰოლოკოსტის დროიდან და პალესტინური ტერორიზმის უდიდესი აქტი ისტორიაში. საპასუხოდ, ისრაელის

ლირებაში და შუამავლის როლს ასრულებს მძევლების გათავისუფლების, ცეცხლის შეწყვეტისა და ზავის დადების საქმეში. ისლამისტურ ჯგუფებსა და კატარს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანი მიდგომაა „რბილი ძალის“ სტრატეგიის ფარგლებში. არაპირდაპირი პოლიტიკური ალიანსის აგება „ძმებ მუსლიმებთან“[11], ასეთი სტრატეგიის ნათელი მაგალითია. „მუსლიმთა საძმო“ უმსხვილესი ორგანიზაციაა, რომლის პოლიტიკური პარტიები ხშირად დომინირებდა არჩევნებში ბევრ არაბულ ქვეყანაში „არაბული გაზაფხულის“[12] მოვლენების შემდეგ. შესაბამისად, კატარი ცდილობდა მათ მხარდაჭერას და მოკავშირეობას რეგიონში თავისი ინტერესების ხელშეწყობისთვის. „იხვანებთან“ კავშირმა კონფლიქტი გამოიწვია საუდის არაბეთსა და საამიროებთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „იხვანები“ გარდაუვალი საფრთხეა მათი შიგა უსაფრთხოებისა და რეგიონული გავლენისთვის. საუდის არაბეთი და საამიროები არაბული გაზაფხულის შემდეგ ისლამისტური მთავრობების ალყაში მოქცევას ცდილობდა.

„ალ-ჯაზირას“, როგორც „რბილი ძალის“, ინსტრუმენტად გამოყენებამ არაბული გაზაფხულის გაშუქებაში გეოპოლიტიკური დაძაბულობა შექმნა, გახსნა რა საუდის არაბეთისა და საამიროების ოპონენტებისთვის სივრცე, მათი პოლიტიკის კრიტიკისთვის. ამიტომ, ეს საუდის არაბეთის მხრიდან ყოველთვის იყო კატარის გაკრიტიკების მიზეზი. სამეფო განიხილავს კატარის „რბილი ძალის“ უპრეცედენტო ზრდას, როგორც მცდელობას, კონ-

---

მთავრობამ 1973 წ. შემდეგ პირველად გამოაცხადა საომარი მდგომარეობა და ღაზას სექტორში დაიწყო ოპერაცია **„რკინის ხმლები“** (ინგლ.: Operation Swords of Iron/ Haravot Barzel).

[11] **ძმები მუსლიმები /მუსლიმთა საძმო** (არაბ.: **الإخوان المسلمون**; ინგლ.: **Muslim Brothers/Muslim Brotherhood**; სრულად - **„მუსლიმი ძმების საზოგადოება“**; არაბ.: **جماعة الاخوان المسلمين** - ჯამაათ ალ-იხვან ალ-მუსლიმუნ; იგლ.: **Society of the Muslim Brothers, MB**; მოიხსენიებენ ხშირად მოკლედ **„იხვანები**“ (არაბ.: ძმები). ძველი, რელიგიურ-პოლიტიკური, პან-ისლამისტური სუნიტური მიმართულების რადიკალური ორგანიზაცია, დაარსებული მასწავლებლის, იმამის და შეიხის ჰასან ალ-ბანას (Hassan al-Banna; 1906-1949 წწ.) მიერ ეგვიპტეში 1928 წ. MB-ს ბევრი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოში და გავლენით სარგებლობს მუსლიმურ ქვეყნებში. მისი სტატუსი არაერთგვაროვანია - ლეგალურად იმყოფება 17 არაბული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში და მასთან დაკავშირებულ პარტიებს ადგილები აქვს პარლამენტში და ამავე დროს ითვლება ერთ-ერთ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად და აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, პირველ რიგში ეგვიპტეში, სირიაში, ასევე ყურის ქვეყნებში - საუდის არაბეთში, საამიროებში, ბაჰრეინში. 1949 წლიდან მისი იდეოლოგი გახდა ღვთისმეტყველი, პოეტი და მასწავლებელი საიდ კუტბი (Sayyid Qutb, 1906-1966 წწ.), რომელსაც დევნიდნენ ეგვიპტეში და სიკვდილით დასაჯეს კიდეც. ორგანიზაცია გააქტიურდა 2011 წ. „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში, ხოლო 2012 წ. პირველად ეგვიპტის ისტორიაში დემოკრატიულად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში „იხვანების“ გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელი **მუჰამად მურსი** (Mohamed Morsi; 1951-2019 წწ.) ჩამოგდებულ იქნა 2013 წ. 3 ივლისს, სამხედრო გადატრიალების შედეგად ამჟამინდელი პრეზიდენტის აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის (Abdel Fattah Al-Sisi, დაბ. 1954) მიერ, რასაც პროტესტების და ძალადობის ტალღა მოჰყვა ქვეყანაში. MB-ს მომხრეები თავს ესხმოდნენ კოპტურ ეკლესიებს, სამთავრობო შენობებს და ა.შ. შემდეგ ეგვიპტის სასამართლომ MB გამოაცხადა ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო დატყვევებული, ნაწამები, როგორც მისი მრავალი პარტიელი მურსი სასამართლო სხდომაზე გულის შეტევით გარდაიცვალა.

[12] **არაბული გაზაფხული** (არაბ.: **الربيع العربي**; ინგლ.: The Arab Spring) - პროტესტების და აჯანყებების ტალღა, რომელიც მიმდინარეობდა არაბულ სამყაროში 2011 წ. დასაწყისიდან. რევოლუციები მოხდა ტუნისში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბიაში, სირიაში, ბაჰრეინში, ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში, ომანში, ქუვეითში, ლიბანში, მავრიტანიაში, საუდის არაბეთში, სუდანში, ჯიბუტისა და დასავლეთ საჰარაში, იყო შეტაკებები ისრაელის საზღვართან. ყველაფერი დაიწყო 2011 წ. 4 იანვარს, ტუნისელი ხილით მოვაჭრე მუჰამად ბუაზიზის თვითმკვლელობით (თავი დაიწვა), პოლიციის კორუფციისა და სასტიკი მოპყრობის გამო, რამაც დასაბამი მისცა რევოლუციის დაწყებას ტუნისში.

კურენცია გაუწიოს მას რეგიონში ლიდერობისთვის და საფრთხე შეუქმნას მის გავლენას [27, გვ. 46-48].

ერთი მხრივ, კატარი „NATO-ს ფარგლებს გარეთ“ (MNNA ან Non-NATO Ally) მთავარ მოკავშირედ ცხადდება, რითაც ყურეში მესამე ქვეყანა გახდა ქუვეითისა და ბაჰრეინის შემდეგ, რომელმაც ეს სტატუსი მიიღო მსოფლიოს 18 ქვეყანას შორის.

MNNA მის მფლობელებს მნიშვნელოვან სარგებელსა და უპირატესობას აძლევს, მათ შორის პრივილეგირებულ წვდომას აშშ-ის მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებზე. მიუხედავად იმისა, რომ კატარი დიდი ხანია მჭიდრო კავშირშია აშშ-თან, ამ სტატუსის მიღება მიუთითებს სიმბოლურ ბიძგზე, ქვეყნებს შორის ორმხრივი უსაფრთხოებისა და სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ. იგი ასევე გააძლიერებს დოჰას სამხედრო პოტენციალს და მის სტრატეგიულ მდგომარეობას, რეგიონში აშშ-ის სხვა მოკავშირეებთან მიმართებაში [10].

მეორე მხრივ, კატარი მასპინძლობს რადიკალ ისლამისტ სასულიერო პირებსა და დისიდენტებს, მათ შორის სრულიად ოდიოზურ პერსონაჟებს. კატარში მრავალი წელი მოღვაწეობდა აწ გარდაცვლილი ეგვიპტელი ღვთისმეტყველი იუსუფ ალ-კარადავი (Yusuf al-Qaradawi)[13], რომელსაც აკრძალული ჰქონდა შესვლა ეგვიპტეში, აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთში, ბაჰრეინსა და ტუნისში.

ალ-კარდავი ცნობილი იყო თავისი ექსტრავაგანტული გამონათქვამებით, ისრაელის მიმართ ანტაგონიზმით და თვლიდა, რომ ებრაელებმა დაიმსახურეს ნაცისტური გენოციდი: „მე ვესვრი ალაჰის მტრებს, ებრაელებს, ისინი კი ბომბს მესვრიან და მე სიცოცხლეს მოწამეობით დავასრულებ ... იუდეველთა უკანასკნელი სასჯელი ჰიტლერმა აღასრულა ... შემდეგ ჯერზე ეს მორწმუნეების ხელიდან იქნება“. ალ-კარდავი იყო „ძმები მუსლიმების“ სულიერი ლიდერი და მხარს უჭერდა ეგვიპტის ხელისუფლებაში მოსულ მუჰამად მურსის მთავრობას.

2012 წელს მოიწონა თვითმკვლელ-ტერორისტების ქმედებები, როცა ჰკითხეს ამის შესახებ სამოქალაქო ომის კონტექსტში. პასუხად აღნიშნა, რომ „ადამიანს უფლება აქვს აიფეთქოს თავი რეჟიმისადმი ლოიალურ ადამიანებზე თავდასხმისთვის მაშინაც კი, თუ ამან შეიძლება გამოიწვიოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა ან დაზიანება, იმ პირობით, რომ „ჯგუფი [რომელიც აგზავნის თვითმკვლელ-ტერორისტს] თვლის, რომ ამისათვის

[13] **იუსუფ აბდ ალ-ლაჰ ალ-კარდავი** (Yusuf al-Qaradawi; 1926-2022 წწ.) - ცნობილი ეგვიპტელი ღვთისმეტყველი, მეცნიერი, შეიხი, 120 წიგნის ავტორი, თეოლოგი, რომელიც თავმჯდომარეობდა „მუსლიმ მეცნიერთა მსოფლიო კავშირს“ (*IUMS)* და „ფათვების ევროპულ საბჭოს“ (ECFR). იყო ერთ-ერთი გავლენიანი რელიგიური მოღვაწე. სუნიტური მიმდინარეობის. ცნობილი იყო გადაცემით „ალ-ჯაზირას“ არხზე „შარიათი და ცხოვრება“ (Sharia and Life), რომლის აუდიტორია 60 მილიონზე მეტ მაყურებელს აჭარბებდა მსოფლიოში. 1997 წ. ჩამოაყალიბა ვებგვერდი IslamOnline. ალ-კარდავმა, მიუხედავად რადიკალური საქმიანობისა, წარმოაჩინა თავი, როგორც ზომიერმა სასულიერო პირმა: ჩამოაყალიბა საშუალო (ზომიერი) გზის კონცეფცია: „ალ-ვასატია“ (Wasatiyyah) ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის და „მუსლიმი უმცირესობების რელიგიური უფლებების“ დოქტრინა (Fiqh al-Aqalliyat). გარდაცვალებამდე იყო დევნილობაში კატარში, ეგვიპტეში ვერ ჩადიოდა, ვინაიდან მას ეგვიპტის ხელისუფლება (გარდა მურსის მმართველობისა) ისლამისტად და რადიკალად მიიჩნევდა.

საჭიროა ვინმე, რომელიც თავს აიფეთქებს სხვებს შორის“ [26, გვ. 11].

ზოგადად დოჰა ცდილობს წარმოაჩინოს საკუთარი თავი პანარაბული ერთიანობის, ისლამური კულტურის აღორძინების ცენტრად. ქვეყანამ წარმატებით შექმნა იდეალური ისლამური სახელმწიფოს რეპუტაცია, წარმოადგინა თავისი ცხოვრების წესი და მმართველობა, როგორც ნიმუში ახლო აღმოსავლეთისთვის, სადაც შეიძლება წარმატებით შეათავსო თანამედროვეობა და ისლამური სოციალიზმის ასპექტები - სამართლიანობის, თავისუფლების, საზოგადოების თანასწორობის და ასევე ვაჰაბიზმის დამაარსებლის იდეები[14].

ბოლო წლებში დოჰამ თავშესაფარი მისცა სირიის ყოფილ პრემიერ რიად ჰიჯაბს (Riyad Farid Hijab; დ. 1966) და ლიბიის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ მუსა ქუსას (Moussa Koussa; დ. 1949). შემდგომში, „ალ-ჯაზირას“ სტუდიებიდან ეს პოლიტიკოსები აქტიურად მოუწოდებდნენ ბრძოლისკენ იმ რეჟიმების წინააღმდეგ, რომლებმაც ისინი გააძევა, ხაზს უსვამდნენ საამიროს როლს „სამართლიანობისთვის მებრძოლების“ მხარდაჭერაში [8].

მიუხედავად იმისა, რომ კატარი აქტიურად აფინანსებს სხვადასხვა დაჯგუფებას, რეგიონში მცხოვრებთა უმეტესობა დოჰას ისლამური სამყაროს მდიდარ და ნეიტრალურ კუთხედ თვლის, მაგრამ ცოტა თუ აცნობიერებს კატარის გავლენის ნამდვილ მასშტაბებს ახლო აღმოსავლეთზე. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის – Zogby Research-ის ცენტრის თანახმად, სირიაში შეიარაღებული ოპოზიციის პირდაპირი მხარდაჭერისა და ლიბიის დაბომბვაში მისი მონაწილეობის მიუხედავად, არაბულ სამყაროში ერთეულებს მიაჩნიათ, რომ კატარს ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა ამ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე [8].

საამირო ხარჯებს არ იშურებს რეგიონული მშენებლობისთვის. მაგალითად, დოჰაში 2008 წელს გაიხსნა „ისლამური ხელოვნების მუზეუმი“ (Museum of Islamic Art (MIA) [18], მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, ისევე როგორც 2010 წელს დაარსებული „კატარის კულტურული სოფელი“ (Katara Cultural Village) [2], რომელიც ბედუინთა

[14] **მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბ იბნ სულაიმან ათ-თამიმი** (Muhammad ibn Abd al-Wahhab ibn Sulayman al-Tamimi; 1703-1792 წწ.) – საუდელი ღვთისმეტყველი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის – ისლამური მოძღვრება **ვაჰაბიზმის** (არაბ.: الوهابية - ალ-ვაჰაბია; ინგლ.: ***Wahhabism***) დამაარსებელი - ულტრაკონსერვატიული ჰანბალიური მაზჰაბის (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა) იდეოლოგი, სალაფიტი/სალაფიელი მქადაგებელი (არაბ.: „სალაფია“ - წინაპრები, წინამორბედები; მოძრაობა, რომელიც მოუწოდებს ირწმუნონ მართლმორწმუნე წინაპრები, ნაადრევი ისლამი და გამოდიან ნებისმიერი „ბიდას“ (სიახლის) წინააღმდეგ). მან შეასრულა ერთ-ერთი საკვანძო როლი საუდის არაბეთის შექმნასა და ახალ სახელმწიფოში ვაჰაბიური მიმდინარეობის გამყარებაში. თავად კი იყო სალაფიელი სირიელი თეოლოგის – თაკი ად-დინ იბნ თაიმიმის (1263-1328 წწ.) მიმდევარი. მიმდინარეობა მოუწოდებს, მუსლიმებმა ყურანსა და ადრეული სუნას პრაქტიკას დაეყრდნონ (მაგალითი, ჩვეულება - წმინდა გადმოცემა, რომელიც აღწერს წინასწარმეტყველ მუჰამადის (570-632 წწ.) ცხოვრების მაგალითებს). თვითონ წარმომადგენლები არ უწოდებენ საკუთარ თავს ვაჰაბიტებს/ვაჰაბიელებს (არ მოსწონთ) და ამბობენ, რომ ისინი არიან „სალაფიელები“ ან „მუვაჰიდუნ“ (ერთღმერთიანები), ან „მუმინუნ“ (მართლმორწმუნეები).

თანამედროვე ეტაპზე ვაჰაბიზმი არ ითვლება უშუალოდ გამოკვეთილ რადიკალურ მიმდინარეობად იმის გათვალისწინებით, რომ ის საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგიაა, ისლამში კი წმინდა ადგილები ამ სახელმწიფოშია და იქ მოსალოცად ჩასვლა უწევთ მუსლიმებს ყველა ქვეყნიდან. თუმცა, იგივე საუდის არაბეთში ვაჰაბიზმის წიაღში არაერთი რადიკალი ისლამისტი გამოჩნდა, რომლებიც ისლამში სიახლეებისა და სუნიტი და შიიტი მუსლიმების წინააღმდეგ გამოდიან, ასევე სამეფოს ხელისუფლებას უპირისპირდებიან.

მემკვიდრეობის ღირებულებებსა და თანამედროვე საზოგადოებას ითავსებს. ჰამად ბინ ხალიფას სახ. უნივერსიტეტში (HBKU) გაიხსნა გრანდიოზული მეჩეთი სახელწოდებით „იუსუფ ალ-კარადავის ისლამური აღორძინებისა და ზომიერების ცენტრი“ (Al-Qaradawi Center for Islamic Moderation and Renewal) [19].

შარიათის[15] კანონების მიუხედავად, საამიროში ქალთა განათლების მნიშვნელოვნად მაღალი დონეა. HBKU-ს ზოგიერთ კამპუსში სტუდენტების 70% ქალია. ქვეყნის უდიდეს კატარის უნივერსიტეტში სტუდენტების დაახლოებით 50% ქალია [8].

სულ ახლახან კატარში პირველი ქალთა ალ-მუჯადილას სახ. მეჩეთი (Al Mujadilah Centre & Mosque for Women/Qatar Foundation's Education City) გაიხსნა, რომელიც სრულფასოვანია კანონიკური თვალსაზრისით - მისი წინამძღვარი მამაკაცია. სხვა შემთხვევაში, შენობაში ყველა საქმიანობას ქალები ეწევიან. მეჩეთში ტარდება ყურანის კურსები, სულიერი აზროვნების სესიები, ქალთა შეკრებები და ბევრი სხვა. მეჩეთი, კატარის ამირას დედის, შეიხა მუზა ალ-მისნიდის (Sheikha Moza bint Nasser Al-Missned, დ. 1959). შემოქმედებაა. ქალებისთვის ასეთი სივრცის შექმნაზე მრავალი წელი ფიქრობდა და მისი ოცნება რეალობად იქცა. მუსლიმი ქალები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალურ, რელიგიურ ცხოვრებასა და განათლებაში. ისლამის ისტორიიდან ვიცით, რომ წინასწარმეტყველ მუჰამადის ცოლი აიშა ბინთ აბუ ბაქრი (614-618 წწ.) ისლამური მეცნიერებების ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი იყო [13].

კატარი ავითარებს „რბილი ძალის“ შესაძლებლობებს, ასევე დიდ ინვესტიციებს დებს დასავლეთის ქვეყნებში და კავშირებს ინარჩუნებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ნახევრად ოფიციალური სააგენტოებისა და სამეფო ოჯახის მიერ კონტროლირებადი ფონდების მეშვეობით. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „კატარის საინვესტიციო სამმართველო“ (Qatar Investment Authority, QIA), რომელიც 2005 წელს შეიქმნა მთავრობის სარეზერვო ფონდებისა და სხვა აქტივების განვითარებისა და მართვის მიზნით. მისი საერთო აქტივები შეფასებულია $ 500 მილიარდიდან $1 ტრილიონამდე.

როგორც კატარის QNV 2030-ის ნაწილი, საამირო საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენებს, რომ ტრადიციული ფასეულობების დამცველია და ტრიბუნას მთელი მსოფლიოდან აძლევს სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეებს, სასულიერო პირებს, ჟურნალისტებს და მეცნიერებს საერთაშორისო დონის კონფერენციებზე, სადაც რელიგიისა და ოჯახის საკითხები განიხილება.

2024 წლის 7–8 მაისს დოჰაში გაიმართა რიგით მე-15 „რელიგიათშორისი დიალოგის საერთაშორისო კონფერენცია“ (15th Doha Conference on Interfaith Dialogue 2024) თემაზე: „ოჯახის სტრუქტურა ცვალებადი სამყაროს ფონზე – რელიგიური ასპექტი. ოჯახების, რწმენის, ღირებულებებისა და განათლების ინტეგრაცია“ (Family Structure in Light of

[15] **შარიათი** (არაბ.: شَرِيعَة ; ინგლ.: **Sharia** - მართალი გზა) - რელიგიური კანონთა ერთობლიობა, დანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მუსლიმთა შეხედულებებს, აყალიბებს რელიგიურ სინდისს და ზნეობრივ ფასეულობებს.

Changing World: Religious Perspective "Integration of families, faith, values, and education), დოჰას რელიგიათშორისი დიალოგის საერთაშორისო ცენტრის (DICID) ორგანიზებით. ორგანიზატორების თქმით, კონფერენციის მიზანია ოჯახში რელიგიის როლი და ამ ოჯახის შესწავლა მისი პირდაპირი გაგებით (მამაკაცი, ქალი და ბავშვები) [31].

„გლობალური ანტისემიტიზმისა და პოლიტიკის შესწავლის ამერიკულმა ინსტიტუტმა" (Institute for the Study of Global Antisemitism and Policy, ISGAP) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელმაც პირველად გამოავლინა მრავალი ორგანიზაცია, ინსტიტუტი და მექანიზმი, რომლის მეშვეობით კატარელ დონორებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრსა და დასავლეთის ქვეყნებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე [16, გვ. 38].

საოცარი ფაქტი. კატარი აშშ-ის უნივერსიტეტებს უფრო მეტ თანხას ურიცხავს, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა ($3 მილიარდი). გარდა ამისა, კატარის დახმარება საერთოდ არაა შეტანილი კანონით სავალდებულო უნივერსიტეტის ანგარიშგებაში. ისინი მესამე მხარის მეშვეობით გადაეცემა კონკრეტულ პროექტებისთვის. მაგალითად, იელის უნივერსიტეტში თანხები შედიოდა ესპანური კომპანია Iberdrola-ს მეშვეობით.

კატარი ბევრ ამერიკულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს, ერთობლივი პროექტების ფარგლებში. შედეგად, პროკატარული პროპაგანდის ჩართვის საგანმანათლებლო პროგრამებში სტიმული ჩნდება. კატარის „ეროვნული პრიორიტეტული კვლევების პროგრამა" (NPRP) უზრუნველყოფს მეცნიერებთან თანამშრომლობას, კატარის ინტერესების გათვალისწინებით.

ISGAP-ის ნოემბრის ანგარიშში აღწერილია შეთანხმება ტეხასის A&M უნივერსიტეტსა და სახელმწიფო კატარს შორის, რომლის მიხედვით დაფინანსებული კვლევისა და სამუშაოების (მათ შორის ბირთვული) მთელი ინტელექტუალური საკუთრება კატარს ეკუთვნის. საამიროს სტუდენტების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე აქვს წვდომა.

ყველა ეს მონაცემი საიდუმლო არ არის - სურვილის შემთხვევაში, ისინი ღიად მისაწვდომია. ISGAP-მა უბრალოდ გააერთიანა ისინი, რათა თეთრი სახლისთვის ეჩვენებინა, რომ კატარს უნარი აქვს გავლენა მოახდინოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე დასავლეთის ქვეყნებში, რაც ნიშნავს, რომ ზომები უნდა იქნეს მიღებული კატარის „რბილი ძალის" მექანიზმების სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად [3].

„ალ-ჯაზირა", როგორც კატარის „რბილი ძალის" მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ეჭვგარეშეა, რომ საკვანძო ელემენტი „რბილი ძალის" პროფილში „ალ-ჯაზირას" ქსელია, რომელიც მისი შექმნის დღიდან უნიკალური შემთხვევაა არაბულ მედიასივრცეში ყველა პრობლემით, სიმპათიით თუ ანტიპათიით, პოპულარობითა თუ კრიტიკით. „ალ-ჯაზირას" არსებობა სცილდება მაუწყებლობის ფარგლებს, რადგან მედიაარხიდან, რომელიც აშუქებდა უბრალოდ ახალ ამბებს, გადაიქცა მრავალი მასმედიის, კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ინტეგრირებულ ქსელად [17, გვ. 57].

1996 წელს, ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, ამირა ჰამად ბინ ხალიფა ალ სანიმ

„ალ-ჯაზირას“ შექმნის განკარგულება გასცა (სათავო ოფისი დოჰაში მდებარეობს), რომელიც ობიექტური ინფორმაციის მთავარი წყარო გახდა ახლო აღმოსავლეთში [20]. **„ალ-ჯაზირა“** (არაბ.: **الجزيرة**) ნიშნავს „კუნძულს“, სადაც იგულისხმება არაბეთის ნახევარკუნძულ **„ალ-ჯაზირა ალ-არაბია-ს“** (არაბ.: **الجزيرة العربية**) სრული სახელწოდების მოკლე დასახელება.

კატარის ტელეარხის გავლენის მასშტაბების სამაგალითო შეფასება მოიყვანა ეგვიპტის პრეზიდენტმა მუჰამად ჰუსნი მუბარაქმა (1928-2020 წწ.). 2001 წელს მან მოინახულა „ალ-ჯაზირას“ შტაბ-ბინა დოჰაში, რომლის შემდეგ დიდი ინტერესით იკითხა, თუ როგორ შეიძლება „ასეთმა პატარა „ასანთის კოლოფმა“ ამხელა პრობლემა შექმნას“. მართლაც, 10 წლის შემდეგ არხმა დიდი როლი შეასრულა რევოლუციის დაწყებასა და თავად მუბარაქის რეჟიმის დამხობაში [12].

„ალ-ჯაზირას“ სარედაქციო პოლიტიკა, გარდა გამოცხადებული დამოუკიდებლობისა, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის მხარდაჭერა, ავტორიტარულ ლიდერთა მმართველობისთვის წინააღმდეგობის გაწევა, როგორიც იყო ჰუსნი მუბარაქი, ბაშარ ალ-ასადი (დ.1965) და ასევე მუსლიმთა უფლებების დაცვა მთელ მსოფლიოში [8].

Al Jazeera გახდა სავაჭრო ბრენდი და კატარის სინონიმი. 2005 წელს Al Jazeera-მ მეხუთე ადგილი დაიკავა ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ცნობილ ბრენდებს შორის, ძალაუფლებისა და გავლენის თვალსაზრისით, და კონკურენცია გაუწია Coca Cola-სა და Nokia-ს [17, გვ. 57].

აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა წლების განმავლობაში წინსვლა განიცადა თავიანთი იდეალების პოპულარიზაციაში მთელ მსოფლიოში, ძირითად მასმედიაში დომინირების წყალობით, როგორიცაა CNN, BBC ან „ამერიკის ხმა“ (VOA). მაგრამ ამერიკული და ბრიტანული მედიის დომინირების დუპოლია „ალ-ჯაზირამ“ დაარღვია და შექმნის დღიდან რჩება იმ ძალად, რომელიც გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის ხალხის შეხედულებებსა და გონებაზე.

ჯერ კიდევ 2001 წლის 2 მარტს ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი ჰილარი კლინტონი საუბრობდა „ალ-ჯაზირას“ მზარდ გავლენაზე, რომ აუცილებელია კონგრესმა გაზარდოს „ინფორმაციული ომის“ დაფინანსება, რომელსაც აშშ აგებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „ალ-ჯაზირა“ ადამიანების ცნობიერების და დამოკიდებულების შეცვლის საქმეში ლიდერია: „მოგწონთ თუ არა, ეს ნამდვილად ეფექტურია ... Al Jazeera-ს მაყურებელი იზრდება აშშ-ში, რადგან ეს ნამდვილი ამბებია“ [1, გვ. 1-5].

იმავე წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ „ალ-ჯაზირა“ უფრო ცნობადი გახდა მსოფლიოში, რადგან აშუქებდა ავღანეთზე კოალიციის ჯარების ავია- და სარაკეტო იერიშებს და ახორციელებდა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-კაიდას“ ლიდერის, N 1 ტერორისტის უსამა ბინ ლადინის განცხადებების ტრანსლაციას ტელეეთერში[16].

[16] **ალ-კაიდა** (არაბ.: **القاعدة**; ინგლ.: Al-Qaeda ან al-Qa'ida - ბაზა, ფუნდამენტი, ფუძე, საყრდენი); სრული სახელწოდება - „ალ-კაიდა ას-სულბა“ (არაბ.: **القاعدة الصلبة**; *ინგლ.: Al-Qa'idah al-Sulbah* - მტკიცე საფუძველი) - საერთაშორისო ტერორისტული,

არხმა ძირეულად შეცვალა არაბული საინფორმაციო სივრცის მიზნები, მასშტაბები, სტრუქტურა და რამდენიმე წელიწადში გაფართოვდა გავლენის თვალსაზრისით, ხოლო მისი ინსტიტუტების ქსელი მძლავრი ინსტრუმენტი გახდა კატარის „რბილი ძალის“ სტრატეგიაში. არხი რევოლუციური მუხტის მთავარი მხარდამჭერი იყო „არაბული გაზაფხულის“ დროს. კატარი აფინანსებს მასებზე გავლენის მქონე მედიამოღვაწეებს და მიჰყავს ბევრი სატელევიზიო პროგრამა. „ალ-ჯაზირამ“ პარტნიორობა დაამყარა დასავლეთის გავლენიან მედიასაშუალებებთან და შექმნა წარმომადგენლობისა და ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომლის საშუალებით ბევრ პოლიტიკურ მოვლენაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა [27, გვ. 46-48].

2012 წელს „ალ-ჯაზირამ“ მიიღო სამეფო სატელევიზიო საზოგადოება (Royal Television Society) „წლის ამბების არხის“ (News Channel of the Year) ჯილდო „არაბული გაზაფხულის“ გაშუქებისთვის [21, გვ. 1141]. თუ დავუჯერებთ მიმომხილველს, Chatham House-ის ყოფილ თანამშრომელ ჯეინ კინინმონტს (Jane Kinninmont), „ალ-ჯაზირა“ მთელი მსოფლიოდან იღებს შექებას არაბული გაზაფხულის გაშუქებისთვის. ეს არის ერთადერთი არაბული ტელეკომპანია, რომელმაც სერიოზულად დაიპყრო დასავლური აუდიტორია და გააქარწყლა ის სტერეოტიპი, რომ გლობალიზაცია უნდა ნიშნავდეს ვესტერნიზაციას“ [15].

ახლო აღმოსავლეთის მრავალი მმართველის კრიტიკამ, მკაცრი ცენზურის პირობებში, კატარის არხი ოპოზიციონერთა მხარდაჭერის მთავარ რუპორად აქცია და არაბ ახალგაზრდებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. შედეგად, სწორედ „ალ-ჯაზირას“ სტუდიებიდან ვრცელდებოდა საბედისწერო სიუჟეტები „არაბული გაზაფხულის“ საპროტესტო აქციების შესახებ, აქტიურად შუქდებოდა ლიბიის დიქტატორ მუამარ ალ-კადაფის (1942-2011 წწ.) რეჟიმის კორუფციის შესახებ სირიის დიქტატორ ბაშარ ალ-ასადის რეპრესიებზე სირიაში და დემოკრატიის გამარჯვება ეგვიპტეში, კაიროს თაჰრირის მოედანზე. სიუჟეტები კეთდებოდა უმაღლესი ხარისხით, რაზეც მუშაობდნენ რეგიონისა და დასავლელი წამყვანი სპეციალისტები.

მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გადაცემის სიმარტივე და კარგი ხარისხი, ისევე როგორც ობიექტურობა, „ალ-ჯაზირას“ პოპულარობის საწინდარი გახდა. არასდროს ყოფილა ახლო აღმოსავლეთში ისეთი რეგიონული მედიასაშუალება, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა დასავლურ ანალოგებს, მაუწყებლობდა არაბულ ენაზე, გრძნობდა და ერგებოდა რეგიონის მოსახლეობის განწყობას და ამავე დროს სარგებლობდა

ულტრარადიკალური, ისლამისტური, ვაჰაბიტური მიმართულების ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წ. 11 აგვისტოს (ან 1980-იანი წლებში). ორგანიზაციის მიზანია ისლამურ ქვეყნებში საერო რეჟიმების დამხობა და „დიდი ისლამური სახალიფოს“ შექმნა. დაარსებიდან მოყოლებული მისი ლიდერი იყო N 1 საუდელი ტერორისტი **ოსამა ბინ ლადენი** (Osama bin Ladin; 1957-2011 წწ.), 2011 წლიდან კი **აიმან აზ-ზავაჰირი** (Ayman al-Zawahiri; 1951-2022 წწ.).

1998 წელს კენიასა და ტანზანიის დედაქალაქების აშშ-ის საელჩოებში აფეთქებების მოწყობის შემდეგ „ალ-კაიდამ“მსოფლიოში N 1 ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი მოიპოვა. „ალ-კაიდა“ პასუხისმგებელი გახდა ტერაქტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, მათ შორის აშშ-ში 2001 წ. 11 სექტემბრის ტერაქტების. ორგანიზაციის ამჟამინდელ დე-ფაქტო ლიდერად ითვლება ეგვიპტელი ტერორისტი **საიფ ალ-ადილი** (Saif al-Adel, ნამდვილი სახელი **მუჰამად სალაჰ ად-დინ ალ-ჰალიმ ზაიდან** [Mohamed Salah al-Din al-Halim Zaidan]; დ. 1960/63).

კატარის მთავრობის თითქმის შეუზღუდავი ფინანსური მხარდაჭერით.

კატარის ხელმძღვანელობის მთავარი მიღწევაა ის, რომ მათ წარმატებით შეძლეს დისტანცირება თავიანთი ტელეარხისგან. შედეგად, „ალ-ჯაზირა“ რეგიონში აღიქმება, როგორც ინფორმაციის ობიექტური წყარო, რომელიც არ არის დაკავშირებული კატარის პოლიტიკასთან – მთლიანობაში მთელი მუსლიმური სამყაროს ღირებულებების გამტარებელი. ამავდროულად, „ალ-ჯაზირას“ დღის წესრიგში ფარულად შეფუთულია კატარის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ელემენტები, სადაც ხელისუფლება ცდილობს საამიროს პოზიციონირებას, როგორც სიმშვიდისა და კეთილდღეობის კუნძულს, მშფოთვარე ისლამურ სამყაროში [8].

2013 წლის დასაწყისში „ალ-ჯაზირამ“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ალ გორისგან $ 500 მილიონად შეიძინა ამერიკული საინფორმაციო ქსელი Current TV და დააარსა Al Jazeera International Limited. არხი ამტკიცებს, რომ ის არ არის „კატარის საკუთრებაში“, რომ „რეპორტაჟები არ არის კონტროლირებული კატარის მთავრობის მიერ და არ ასახავს მთავრობის შეხედულებებს“.

აშშ-ში „ალ-ჯაზირა“ უარს ამბობს დარეგისტრირდეს „უცხოური გავლენის აგენტის სახით“, „უცხო აგენტების რეგისტრაციის აქტის კანონის“ (Foreign Agents Registration Act, FARA) მიხედვით, რომელიც 1938 წელსაა მიღებული და მოითხოვს, რომ აშშ-ის აგენტებმა, რომლებიც უცხო სახელმწიფოების ინტერესებს იცავენ, გაამჟღავნონ თავიანთი ურთიერთობა საზღვარგარეთის მთავრობებთან. „ალ-ჯაზირა“ ამტკიცებს, რომ ის არ ექვემდებარება ამ კანონს, რადგან ის „საზოგადოებრივი სიკეთისთვის მოქმედი კერძო კომპანიაა“. არსებითად, ეს „კერძო კორპორაცია“ დაარსდა სამეფო ბრძანებულებით და მისი საკონტროლო პაკეტი კატარის ამირას ეკუთვნის [3].

მიუხედავად „ალ-ჯაზირას“ მიერ კატარის საგარეო-პოლიტიკური მიზნებისა, მას უარყოფითი შედეგები ჰქონდა კატარის მეზობლებთან ურთიერთობაში და „რბილი ძალის“ სტრატეგიის ზოგიერთმა ინსტრუმენტმა წინააღმდეგობრივი როლი შეასრულა. კატარი მუდმივ ღია შეჯიბრებას ეწეოდა ყურის ყველა სახელმწიფოსთან, აღიარების, ავტორიტეტისა და პატივისცემისთვის. 2017-2021 წლებში ამ შეჯიბრებას ღია დაპირისპირება მოჰყვა, კატარი იზოლირებულ იქნა და მტრული ფრონტის წინაშე აღმოჩნდა [7]. საამირომ მრავალი ბრალდება მიიღო, ძირითადად „ალ-ჯაზირას“ მიერ მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა და არაბული რეჟიმების მოწინააღმდეგეთა მასპინძლობის გამო. კატარის და მისი ამირას წინააღმდეგ წაქეზებული კამპანიები დაიწყო დასავლეთსა და აშშ-ში, ისმოდა ბრალდებები ტერორიზმის მხარდაჭერისა და ექსტრემისტული ჯგუფების დაფინანსებაში.

წაქეზება გადაიზარდა ყურეში 2017 წლის 5 ივნისს დიპლომატიური კრიზისის დაწყებაში, როდესაც საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ეგვიპტემ, ბაჰრეინმა, იემენმა, ლიბიამ (დროებითი მთავრობა) და მალდივებმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კატართან და ბლოკადა გამოუცხადა. ამ ქვეყნებმა დაადანაშაულა კატარი „ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერაში“ და გამოაქვეყნა განცხადება, სადაც შევიდა 13

მოთხოვნა, მათ შორის „ალ-ჯაზირას“ დახურვა, ირანთან და სხვა სუბიექტებთან „მუსლიმურ სამმოსთან“, „ჰამასთან“ კავშირის გაწყვეტა და დაფინანსების შეწყვეტა [27, გვ. 46-48].

კრიზისის დაძლევა 2021 წელს გახდა შესაძლებელი კატარის მიერ „რბილი ძალის“ გამოყენებით, როცა ზემოჩამოთვლილი ქვეყნების წინააღმდეგობამ ვერ მიიღო არაბული ან საერთაშორისო მხარდაჭერა. „ალ-ჯაზირა“ აქტიურად დაუპირისპირდა მის წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას, მოახდინა მსოფლიო მობილიზება და ბევრმა საერთაშორისო პლატფორმამ დაგმო ბლოკირების დამწესებელი ქვეყნების მოთხოვნები.

The Guardian-მა ამ მოთხოვნებს „სასაცილო“ უწოდა. გავლენიანმა საერთაშორისო უფლებადამცველმა Human Rights Watch-მა „ალ-ჯაზირას“ დახურვის მოთხოვნა განიხილა არა როგორც კატარისთვის, არამედ რეგიონში მცხოვრები „მილიონობით“ არაბისთვის სასჯელი, რომლებსაც მნიშვნელოვანი მედიის ყურების უფლება ჩამოერთვათ. არხის დახურვის მოთხოვნა ასევე დაგმო „ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ“ (International Federation of Journalists).

სწრაფი ანალიზი აჩვენებს, რომ კატარის წინააღმდეგ წამოყენებული 13 მოთხოვნა მიზნად ისახავდა „რბილი ძალის“ სისტემის დემონტაჟს, რომელსაც კატარი აშენებდა 1990-იანი წლიდან მოყოლებული. შეიძლება ითქვას, რომ კატარის „რბილმა ძალამ“ მოახერხა ბლოკადის დაძლევა [17, გვ. 57]. კატარმა მიმართა აშშ-ის, რეგიონში მთავარ მოთამაშეს და დახარჯა ფული საკუთარი პოლიტიკური ლობის შესაქმნელად. კატარის ლობი აშშ-ში მოიცავდა კონგრესის წევრებს და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატების კამპანიის მონაწილეებს, სხვადასხვა შტატის გავლენიან ლიდერებს და სენატორებს. კატარის ლობის აქტივობა 2017 წლის ბლოკადის კრიზისის შემდეგ გაიზარდა [27, გვ. 46-48].

დაარსებიდან დაწყებული Al jazeera-მ მაუწყებლობის დივერსიფიკაცია მოახდინა და გაიზარდა მრავალი არხის გაშვების მეშვეობით, ინგლისურენოვან Al Jazeera English-თან ერთად, სადაც დასავლელი პროფესიონალი ჟურნალისტების გუნდი მუშაობს [1, გვ. 6]. მან ასევე შექმნა გავლენიანი ფილიალები, როგორიცაა Al Jazeera-ს სასწავლო ცენტრი, „ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი“ (Human Rights Department), Al Jazeera-ს კვლევითი ცენტრი, პორტალი Aljazeera.net. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მრავალ თემაზე სემინარებისა და კონფერენციების მოწყობა პარტნიორებთან თანამშრომლობით [17, გვ. 55-56].

Al Jazeera Media Network-ის მაყურებლებს შეუძლიათ აირჩიონ შემდეგი არხები:

1. „ალ-ჯაზირას“ თანამგზავრული არხი (არაბული) (Al Jazeera Satellite Channel (Arabic);

2. „ალ-ჯაზირას“ ინგლისური (Al Jazeera English);

3. „ალ-ჯაზირას“ დოკუმენტური ფილმი (Al Jazeera Documentary);

4. „ალ-ჯაზირა“ მუბაშირი (პირდაპირი) (Al Jazeera Mubasher (Live);

5. „ალ-ჯაზირას“ მედიატრენინგისა და განვითარების ცენტრი (Al Jazeera Media Training & Development Centre);

6. „ალ-ჯაზირას“ კვლევითი ცენტრი (Al Jazeera Centre for Studies);

7. „ალ-ჯაზირა“ მობაილი (Al Jazeera Mobile);

8. Al Jazeera.net (არაბული საიტი);

9. Al Jazeera English Online (ინგლისური საიტი, AJ+ https://www.ajplus.net);

10. „ალ-ჯაზირას“ საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი (Al Jazeera Center for Public Liberties and Human Rights).

ქსელი არაბულ სამყაროში, ყურების თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა. Al Jazeera-ს პოლიტიკა კატარის სახელმწიფოს მხარდაჭერის ეფექტური ინსტრუმენტია მაშინ, როცა კატარის ოფიციალური დიპლომატია კრებს კონფლიქტურ მხარეებს დახურულ კარს მიღმა და შუამავლის როლს ასრულებს. „ალ-ჯაზირა“ აერთიანებს იგივე მხარეებს ეთერში სხვა ტიპის დიალოგისთვის, სადაც საუბრობენ იმაზე, რაც არ იყო ნათქვამი დახურულ ოთახებში და გადასცემს მილიონობით მაყურებლისთვის მთელ მსოფლიოში [17, გვ. 55-56].

„ალ-ჯაზირას“ ბრენდი ხალხის გონებაში არ შეიძლება განცალკევდეს მისი წარმოშობის ადგილისგან ანუ კატარისგან, ისევე როგორც Coca Cola-ს, McDonald's-ის წარმოდგენა შეუძლებელია ამერიკის გარეშე ან Mercedes-ის გერმანიის გარეშე.

სკანდალურად ცნობილი WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულ აშშ-ის დიპლომატიურ დოკუმენტებს შორის The Guardian-მა აღმოაჩინა, რომ ვაშინგტონი თვლის, რომ კატარი იყენებს „ალ-ჯაზირას“, როგორც კოზირს საგარეო პოლიტიკის მოლაპარაკებებში, რათა წინ წასწიოს თავისი დღის წესრიგი საერთაშორისო ასპარეზზე. გაზეთმა ციტირება მოახდინა კატარში აშშ-ის ელჩის – ჯოზეფ ლებარონის (Joseph LeBaron) საიდუმლო დეპეშიდან, სადაც ის ამბობს: „Al Jazeera კვლავაც რჩება კატარის გავლენის ინსტრუმენტად და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გამოხატულებად. კატარი გააგრძელებს „ალ-ჯაზირას“ გამოყენებას, როგორც მოლაპარაკების ინსტრუმენტს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების აღსადგენად, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან, რომლებიც დაზიანებულია „ალ-ჯაზირას“ მაუწყებლობით, მათ შორის აშშ-თან“.

„ალ-ჯაზირას“ უნარი, გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე მთელ რეგიონში კატარის ბერკეტის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ დათმოს. უფრო მეტიც, ქსელი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ხერხი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, „ალ-ჯაზირას“ მიერ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის უფრო დადებითმა გაშუქებამ ხელი შეუწყო კატარ-საუდის არაბეთის შერიგებას გასულ წელს [17, გვ. 57].

შესაბამისად, „ალ-ჯაზირა“ ყველა მისი ინსტიტუტით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კატარის სახელმწიფოს გამძლეობის და სტაბილურობის დაცვის არსენალში. თუ წარსულში, „ალ-ჯაზირას“ დაარსებამდე, ამ აქტორებს შეეძლოთ დაერღვიათ კატარის სუვერენიტეტი, ეს უკვე შეუძლებელია Al Jazeera-ს ფაქტორის გამო, რომელიც პირდაპირ ეთერში ავრცელებს ამბებს მილიონობით მაყურებლისთვის მთელ მსოფლიოში. არ იქნება გადაჭარბებული, რომ აღვწეროთ „ალ-ჯაზირა“, როგორც კატარის თავდაცვითი ფარის ინსტრუმენტი.

აქვე აღსანიშნავია აღმოსავლეთ ტენესის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (East Tennessee State University) ჯონ მარკ კინგის (John Mark King) მიერ ჩატარებულ კატარის შესახებ ცნობების კონტენტა-

ნალიზი, გამოქვეყნებული 70-ზე მეტ მთავარ გაზეთში 18 ქვეყანაში 2006–2007 წლების პერიოდში. კვლევამ აჩვენა, რომ ამ გაზეთებში კატარი 706-ჯერ იყო ნახსენები. გამოკითხვა მოიცავდა გაზეთებს ამერიკიდან, ევროპიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, აზიიდან, ახლო აღმოსავლეთსა (ისრაელის ჩათვლით) და აფრიკიდან. კვლევამ აჩვენა, რომ კატარზე შეიქმნა დადებითი შთაბეჭდილება, რადგან ინფორმაცია მისი გეოგრაფიისა და ხალხის შესახებ უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა თემებზე, როგორიცაა ტერორიზმი და ომი [17, გვ. 58].

„ალ-ჯაზირა“ თავის აუდიტორიას სხვადასხვა მოსაზრებას აწვდის „ცხელ“ გლობალურ საკითხებზე, რაც ეწინააღმდეგება დასავლურ მედიანარატივს, რითაც ქმნის ნიშას დევიზით „ხედვა და განსხვავებული მოსაზრება“ (The View and the Other Point of View). „ალ-ჯაზირამ“ შეიმუშავა მედიის ნორმების დამრღვევის რეპუტაცია, რომელიც ოპოზიციურ ჯგუფებს აძლევს პლატფორმას თავიანთი მთავრობების დაგმობისთვის. ტუნისის, ლიბიის, ეგვიპტისა და სირიის საშუალო სტატისტიკური მცხოვრები აღიქვამს კატარს, როგორც უმლურთა მხარდამჭერს, რადგან მისი საინფორმაციო ორგანიზაცია ეუბნება და აჩვენებს მსოფლიოს მათ ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის [1, გვ. 6].

ნაშრომის ბოლოს გვერდზე ვერ ავუვლიდით საინტერესო დაკვირვებას, რომელიც ეხება „ალ-ჯაზირას“ პროპაგანდას და ვუბრუნდებით ისრაელ-ჰამასის ომს, სადაც უპრეცედენტო საინფორმაციო ნაკადში ტონს „ალ-ჯაზირა“ ადგენს. როგორც ჩანს, არსებობს ამ ომთან დაკავშირებული პარალელური თვალსაზრისი, რომლის მოხვედრა „ალ-ჯაზირას“ პირველ გვერდებზე ძალიან რთულია, – თვლის მიმომხილველი ჯ.ბუსთანი, „რა ხდება სინამდვილეში ღაზაში?“ - მისი აზრით, მოვლენებს მხოლოდ „ალ-ჯაზირას“ თვალით არ უნდა შეხედოთ [4].

„ალ-ჯაზირა, რომელიც აშუქებდა „არაბულ გაზაფხულს“, ის „ალ-ჯაზირა“ აღარ არის. იგი გადაიქცა სატელევიზიო ყუთად, რომელიც კრემლის „პროპაგანდისტული მანქანის“ მსგავსად იტყუება, როცა საქმე ეხება პალესტინის საკითხს და არ აღწერს იმ სინამდვილეს, რაც ღაზაში ხდება, მაგ., პალესტინელები იმიტომ შიმშილობენ, რომ „ჰამასი“ ძარცვავს ჰუმანიტარულ დახმარებას; ხალხს ეშინია „ჰამასის“; „ჰამასმა“ გაანადგურა პალესტინელების მომავალი და ა.შ.

ასეთ რამეს ვერ ნახავთ „ალ-ჯაზირაზე“, რადგან „ჰამასის“ ნებისმიერი კრიტიკა მკაცრად აკრძალულია. ამის ნაცვლად, წარმოდგენილია სურათი, სადაც „ჰამასი“ ხორციელი ანგელოზია, რომ ისინი ყოველთვის მართლები არიან ყველაფერში, იმარჯვებენ და კლავენ/ასახიჩრებენ „ისრაელის თავდაცვის ძალების“ (Tzahal/IDF) დიდი რაოდენობას, ხოლო „ჰამასი“ გმირულად იბრძვის პალესტინელების ნათელი მომავლისთვის [4].

„ალ ჯაზირას“ პროპაგანდის კიდევ ერთი მაგალითია სკანდალი, რომელიც X-ის არაბულენოვან სეგმენტში აგორდა 2024 წლის მარტის ბოლოს. საქმე ეხებოდა IDF-ის დადანაშაულებას ქალზე ძალადობაში, ღაზაში საომარი მოქმედებების დროს. სიუჟეტის წყარო გახდა ტელეარხის ვებგვერდზე გამოქვეყნებული 9-წუთიანი საუბარი ვინმე ჯამილასთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ აშშიფას ჰოსპიტალში გაუპატიურების მომსწრე გახდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსგავსი არაფერი უნახავს და ჭორებს აჰყვა. აიმან ალ-ჰისიმ, ჯამილას

ძმამ, განმარტა, რომ მისი და უბრალოდ „შეშინებული იყო“. „ალ-ჯაზირას“ ყოფილმა დირექტორმა იასირ აბუ ჰილალამ აღიარა, რომ ეს ამბავი სიყალბე იყო და ინფორმაცია ახალი ამბებიდან ჩუმად ამოიღეს, ოფიციალური უარყოფის გარეშე. ამის შემდეგ „ალ-ჯაზირამ“ თავის Instagram-ზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელიც ეძღვნებოდა გაუპატიურებას, როგორც იარაღის სახით გამოყენებას. მასში ნახსენები იყო რუსული არმია უკრაინასა და „დაიში“. ქვეყნებს შორის 2023-2024 წლების გაუპატიურების ფაქტების რეიტინგში პირველ ადგილზე პალესტინა დააყენეს, ხოლო „ჰამასის“ ტერორისტების მიერ 7 ოქტომბერს ისრაელი ქალების გაუპატიურების ფაქტები ნახსენები არ იყო [6].

ზემოაღნიშნულის და მსგავსი ინფორმაციის გავრცელების ფონზე, ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ა.წ. 5 მაისს განაცხადა, რომ Al Jazeera-ს ოფისები დაიხურება. როგორც მიმომხილველი ცვი ბარელი (Zvi Bar'el) წერს, მისი ქვეყანა შეუერთდა იმ არაბული ქვეყნების რესპექტაბელურ კლუბს, რომლებიც პერიოდულად ხურავდნენ „ალ-ჯაზირას“ ოფისებს, აპატიმრებდნენ და აძევებდნენ მის ჟურნალისტებს და ბოიკოტს უცხადებდნენ კატარს, რათა აეძულებინათ ახალი ამბების ქსელი დაეხურა. თუმცა, როგორც არაბი ლიდერები უკვე მიხვდნენ, ოფისების დახურვამ ვერ შეაფერხა ამ ქსელის მუშაობა, რომელიც მაუწყებლობს 90-ზე მეტ ქვეყანაში და 350 მილიონზე მეტი პოტენციური მაყურებელი ჰყავს არაბულ მსოფლიოში.

მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება არხის აკრძალვის შესახებ (თითქოს და ის ყოფილიყო ყველაზე სახიფათო მტერი ისრაელისთვის), როგორც ჩანს, უფრო იმედგაცრუების და კატართან ანგარიშსწორების შედეგია. Al Jazeera ჰამასის მხარდაჭერის და ანტიისრაელური პროპაგანდის სიმბოლოდ იქცა, რომელსაც დახურვის შემდეგ არცკი დასჭირდება ოფისები თელავივში ან რამალაჰში, რომ აჩვენოს სისხლისღვრა, ნგრევა და შიმშილობა ღაზას სექტორში [30].

დასკვნა

შეზღუდული სამხედრო, პოლიტიკური თუ ადამიანური პოტენციალის მქონე, მაგრამ ენერგორესურსებით მდიდარმა პატარა სახელმწიფო კატარმა, მოკლე დროში, სერიოზული საერთაშორისო წონა შეიძინა და რეგიონის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. აღნიშნულმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა ქვეყნის ქცევის სტრატეგიაზე, საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე და განაპირობა კატარის არჩევანი, აეღო გეზი ლავირებასა და „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების გამოყენებაზე. „რბილი ძალის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო კომპონენტი კი გახდა მედიამაგნატი „ალ-ჯაზირას“ ქსელი, რომლის მიერ ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში სხვადასხვა მოვლენის ობიექტურმა გაშუქებამ კატარს შესაძლებლობა მისცა შეექმნა მძლავრი პოლიტიკური მოთამაშის რეპუტაცია და გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე არაბულ სამყაროში. ამავდროულად, „ალ-ჯაზირას“, როგორც „რბილის ძალის“ სახით გამოყენებამ, გარკვეული გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოიწვია კატარის მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებმაც კატარი დაადანაშაულა ისლამისტურ დაჯგუფებებთან

თანამშრომლობასა და დაფინანსებაში, ასევე მათ შიგა საქმეებში ჩარევაში, „ალ-ჯაზირას“ არხის დახურვის მოთხოვნით.

თუმცა კატარს არ დაუხურავს არხი, არ შეუცვლია სარედაქციო პოლიტიკა და გადალახა გამოწვევები. ამ კონტექსტში, კატარი, რა თქმა უნდა, შეეცდება კიდევ უფრო გააფართოოს „რბილი ძალის“ საგარეო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს გავლენის მნიშვნელოვანი საყრდენი.

ახლა საერთაშორისო ასპარეზზე და ახლო აღმოსავლეთში, დოჰას აზრს ითვალისწინებენ არანაკლებ, ვიდრე ისეთი ტრადიციული რეგიონალური ზესახელმწიფოების, როგორიცაა ეგვიპტე, საუდის არაბეთი, საამიროები, თურქეთი, ხოლო მისი, როგორც შუამავლის როლი მიმდინარე კონფლიქტებში, მსოფლიოში ფასდაუდებელია.

ლიტერატურა

1. Antwi-Boateng, O. (2013, November). The Rise of Qatar as a Soft Power and the Challenges. *European Scientific Journal edition*. 9,(31), pp. 350-368. Retrieved from: https://core.ac.uk/download/pdf/236414644.pdf
2. About Katara (2024). *The Cultural Village Foundation*. Retrieved from: https://www.katara.net/en
3. Boltyanskaya, N. (2023, December 12). *Money, Oil and Soft power. How Qatar is infiltrating Western universities and offices.* Detaly.co.il. (In Russian). Retrieved from: https://detaly.co.il/dengi-neft-i-myagkaya-sila-kak-katar-pronikaet-v-zapadnye-universitety-i-ofisy/
4. Bustani, J. (2024, January 20). *The TV is lying: who is killing in Gaza? Another truth.* Haqqin.az. (In Russian). Retrieved from: https://haqqin.az/news/306079
5. Blanchard, Ch.M. (2014, November 4). *Qatar - Background and U.S. Relations.* Congressional Research Service. p. 20. Retrieved from: https://sgp.fas.org/crs/mideast/RL31718.pdf
6. *Al Jazeera deleted fake story about 'rape of Palestinians', but hate campaign continues.* (2024, March 25). Detaly.co.il. Retrieved from: https://detaly.co.il/al-jazeera-udalila-fejk-pro-iznasilovanie-palestinok-v-bolnitse-shifa-no-vyzvannaya-reportazhem-kampaniya-nenavisti-prodolzhaetsya/
7. Ellwood, D. (2023, March 16). *Soft Power and Public Diplomacy in Qatar after the World Cup. USC Center on Public Diplomacy, University of Southern California.* Retrieved from: https://uscpublicdiplomacy.org/blog/soft-power-and-public-diplomacy-qatar-after-world-cup
8. Frolovsky, D. (2017, May 11). *The gray cardinal of the Middle East. How little Qatar conquered a large region. Carnegie Endowment for International Peace.* Retrieved from: http://carnegie.ru/commentary/?fa=69917
9. Founding of the State. (2024). *Amiri Diwan.* Retrieved from: https://www.diwan.gov.qa/about-qatar/history-of-qatar
10. Gosselin-Malo, E. (2022, February 3). *The Future of Qatar as Major Non-NATO Ally to the US.* Retrieved from: https://www.ispionline.it/en/pubblicazione/future-qatar-major-non-nato-ally-us-33071
11. The Institute for the Study of Global Antisemitism and Policy (ISGAP). (2023, November 27) *Buying Nuclear Research and Student Information. Institute for the Study of Global Antisemitism and Policy – ISGAP.* Retrieved from: https://isgap.org/wp-content/uploads/2023/11/Texas_AM_Qatar.pdf
12. Al Jazeera Media Network. (2011, February 11). *Hosni Mubarak resigns as president.* Retrieved from: https://www.aljazeera.com/news/2011/2/11/hosni-mubarak-resigns-as-president

13. Imran, Y.S. (2024, April 9). *Al Mujadilah: Qatar's first female-led mosque, research and wellbeing centre is a blueprint for Muslim women around the world.* The New Arab. Retrieved from: https://www.newarab.com/features/qatars-first-female-led-mosque-model-muslim-women
14. Kamrava, M. (2017). Qatari Foreign Policy and the Exercise of Subtle Power. *International Studies Journal,14,*(54), pp. 91-123. Retrieved from: https://www.isjq.ir/article_89904_d41d8cd98f00b204e9800998ecf8427e.pdf
15. Kinninmont, J. (2013, February 2). *From Football to Military Might, How Qatar Wields Global Power.* The Guardian. Retrieved from: https://www.theguardian.com/commentisfree/2013/feb/03/qatar-tiny-gulf-state-global-force
16. Institute for the Study of Global Antisemitism and Policy - ISGAP. (2023, December). *Networks of Hate. Qatari Paymasters, Soft Power and the manipulations of Democracy.* Retrieved from: https://isgap.org/wp-content/uploads/2023/12/Networks-of-Hate_5DEC.pdf
17. Nawaf, A. T. Azzam, A., Nourollah, Z. (2023). *Qatar's Nation Branding and Soft Power. Exploring the Effects on National. Identity and International Stance.* Retrieved from: https://link.springer.com/book/10.1007/978-3-031-24651-7
18. Overview (2024). *The Museum of Islamic Art (MIA).* Retrieved from: https://mia.org.qa/en/
19. Overview (2024). *Al-Qaradawi Center for Islamic Moderation and Renewal*. Retrieved from: https://www.hbku.edu.qa/en/cis/research/qcimr
20. Our Story (2024). *Al Jazeera Media Network*. Retrieved from: https://network.aljazeera.net/en/about-us
21. Brannagan, P. M., Giulianotti, R. (2018, September). The soft power–soft disempowerment nexus: the case of Qatar. *International Affairs, 94*(5), pp. 1139–1157. Retrieved from: https://academic.oup.com/ia/article/94/5/1139/5092085
22. Qatar. The World Factbook (2024). *CIA.* Retrieved from: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/qatar/summaries/
23. The State of Qatar's Government Communications Office. (2024). Qatar National Vision 2030. Retrieved from: https://www.gco.gov.qa/en/about-qatar/national-vision2030/
24. Reiterovich, I., Bedrak, V. (2023, November 23). *We will remember often. What role does Qatar play in the Russian-Ukrainian war.* Fakty. (In Ukrainian). Retrieved from: https://fakty.com.ua/ua/svit/20231123-budemo-zgaduvaty-chasto-yaku-rol-vidigraye-katar-u-rosijsko-ukrayinskij-vijni/
25. Haq, S.N. (2024, April 23). *Devastation in Gaza as Israel wages war on Hamas.* Retrieved from: https://edition.cnn.com/middleeast/live-news/israel-hamas-war-gaza-news-04-23-24/index.html
26. *The Meir Amit Intelligence and Terrorism Information Center – ITIC.* (2022, October 6). Sheikh Yusuf al-Qaradawi and his impact on the dissemination of radical Islam. Retrieved from: Retrieved from: https://www.terrorism-info.org.il/app/uploads/2022/10/E_166_22.pdf
27. Taha, N. (2021, August). Qatar Soft Power: From Rising to the Crisis. Istanbul Sabahattın Zaım Unıversıty. *International Journal of Business and Applied Social Science (IJBASS),7*(8), pp. 43-52. Retrieved from: https://ijbassnet.com/publication/413/details
28. Tkabladze, Z. (2022). *Humanitarian Aspects of International Relations.* Methodical guide. Tbilisi: *Georgian National University* (SEU). (In Georgian). Retrieved from: http://opac.gtu.ge/cgi-bin/koha/opac-ISBDdetail.pl?biblionumber=69836
29. *Planning and Statistics Authority.* (2024, March 18). Total Population inside State of Qatar. Retrieved from: https://www.psa.gov.qa/en/statistics1/Pages/default.aspx
30. *Zvi Bar'el. Closing the channel Al Jazeera, Israel shot themselves in the foot.* Detaly.co.il. (In Russian). Retrieved from: https://detaly.co.il/zakryvaya-kanal-al-jazeera-izrail-strelyaet-sebe-v-nogu/

31. Doha International Center for Interfaith Dialogue, DICID. (2024, May 7-8). *15th Doha Conference on Interfaith Dialogue Family Structure in Light of Changing World: Religious Perspective "Integration of families, faith, values, and education"*. Retrieved from: https://dicidevents.org/wp-content/uploads/2024/01/Conference_Concept_Paper_En_2024.pdf

UDC 327.56
SCOPUS CODE 3301
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-3-260-285

Al-Jazeera as one of the Important Components of Qatar's Soft Power

Zviad Tkabladze Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

Reviewers:

A. Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: a_kiknadze@gtu.ge

M. Manchkhashvili, Doctor of Political Sciences, Assistant-Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

Abstract. One of the Qatar's "soft power" policy instruments is the Al-Jazeera TV company, used by the State to promote national interests. In a relatively short period of time, Qatar was able not only to overcome its geographical and demographic limitations, but also to achieve resonant successes both at the regional and international levels, securing its status as an influential player on a global scale. And using the example of Al-Jazeera, indicators are given that prove the effectiveness of using such a strategy to increase influence on the public abroad.

The purpose of the study is to formulate the essence and identify the key components of the "soft power" of the Qatar mass media, which served as the basis for the effective implementation of the ambitious strategies of the small monarchy.

At the same time, special attention is paid, with the help of Al-Jazeera, to Qatar's promotion of its image as a progressive and modern state, a useful military-political partner, a reliable supplier of energy resources, a sought-after international mediator, a donor of humanitarian aid and an influential investor, as well as an educational, cultural, transport, financial and a tourist center.

Keywords: Al-Jazeera; mass media; Qatar; soft power.

განხილვის თარიღი 03.06.2024
შემოსვლის თარიღი 07.06.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.09.2024